ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 116 (11727)
ხუთშაბათი, 19 მაისი 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

# ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება

## პრეს-კონფერენციაზე პარიზში 1960 წლის 18 მაისს

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

თქვენ ალბათ უკვე იცნობთ განცხადებას, რომელიც მე გავუკეთე 16 მაისს საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მაკმილანს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ეიზენჰაუერს.

გარემოებანი, რომლებშიც საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია გაეკეთებინა ეს განცხადება, საყოველთაოდ ცნობილია — მე მხედველობაში მაქვს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების აგრესიული ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე, რაც უმაღლესი დონის თათბირის წინახანს მოხდა, და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საჯარო დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ასეთი ფრენა მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკაა.

ახლა ცდილობენ ჩვენ დაგვდონ ბრალი იმაში, თითქოს საბჭოთა კავშირი უარს ამბობდეს მონაწილეობა მიიღოს თათბირში და რაღაც ულტიმატუმებს უყენებდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგრამ ჩვენ ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ თათბირში, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საჯაროდ უკან წაიღებს შეურაცხყოფას, რომელიც მან მიაყენა ჩვენს მთავრობას თავისი აგრესიული მოქმედებით. მაგრამ ჩვენ დღემდე არა ვართ დარწმუნებული, რომ ჯაშუშური ფრენა, რასაც შეერთებული შტატები აწყობენ, არ გამეორდება. გაიხსენეთ, როგორ იქცეოდნენ შეერთებული შტატების ხელმძღვანელები იმის შემდეგ, რაც მათ დანაშაულზე წაასწრეს.

მე დავიმოწმებ დოკუმენტებს და მხოლოდ დოკუმენტებს.

**5 მაისს**, როცა მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ საბჭოთა ტერიტორიაზე ჩამოგდებულ იქნა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი, სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ეს იყო თვითმფრინავი, რომელიც ფრინავდა თურქეთის ტერიტორიის თავზე მეტეოროლოგიური ცნობების შესაგროვებლად. აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ მფრინავმა აცნობათ, თითქოს მას ჟანგბადის ხელსაწყო გაუფუჭდა. ამის შედეგად მფრინავმა თითქოს თანდათან დაკარგა გრძნობა, და ასეთ პირობებში თვითმფრინავს, განაგრძობდა რა ფრენას ავტოპილოტით კიდევ მნიშვნელოვან მანძილზე, შეეძლო შემთხვევით შეჭრილიყო საბჭოთა საჰაერო სივრცეში. იუწყებოდნენ, რომ წარმოებდა ამ თვითმფრინავის ძებნა თურქეთის ტერიტორიაზე ვანის ტბის რაიონში, სადაც ძალიან მთიანი ადგილია.

როცა ჩვენ გამოვაქვეყნეთ ცნობა, რომ ამერიკის თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა სვერდლოვსკის რაიონში, ხოლო დაჭერილმა მფრინავმა აღიარა ჯაშუშური საქმიანობა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა **9 მაისს** განაცხადა, რომ ეს ნამდვილად ჯაშუში თვითმფრინავი იყო. უფრო მეტიც, მან თქვა, რომ ასეთი ფრენა წარმოებს პრეზიდენტის მითითებათა საფუძველზე და იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს „ფართო დაკვირვებას ჰაერიდან“, ამასთანავე საბჭოთა საჰაერო სივრცეში „შეღწევის გზით“. ეს იყო ბატონ ჰერტერის თავხედური განცხადება.

**11 მაისს** თვითონ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა დაადასტურა ჰერტერის განცხადება.

**12 მაისს** ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩომ თავის ნოტაში საბჭოთა მთავრობისადმი კვლავ განაცხადა, რომ აგრესიული ჯაშუშური ფრენა შეერთებული შტატების წინასწარ გამიზნული პოლიტიკაა.

ახლა პარიზში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აკეთებს განცხადებას, რომ შეერთებულმა შტატებმა „შეაჩერეს ფრენა“ და არ განაახლებენ მას. ზოგი ვინმე, იმოწმებს რა ამ ფრაზას, კითხულობს, რაღა უნდა კიდევ საბჭოთა კავშირს? საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენის საფრთხე ხომ აღარ არისო. ეს განცხადება, შესაძლოა, დააკმაყოფილებდა იმპერიალიზმის მსახურთ. იმპერიალისტები შეჩვეული არიან ისე მოიქცნენ, როგორც წარსულში იქცეოდნენ რუსი ვაჭრები: ისინი ლაქიებს ტუჩზე მდოგვს მოუსვამდნენ, ხოლო ლაქიები „მადლობას“ ეუბნებოდნენ და თავს დაბლა უკრავდნენ.

ჩვენ შეურაცხყოფას ვერ შევურიგდებით, ჩვენ გვაქვს ჩვენი სიამაყე და საკუთარი ღირსება. ჩვენ მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლები ვართ.

მაგრამ აი 16 მაისის წინასწარ შეხვედრაზე ეიზენჰაუერმა თქვა, რომ მისი სიტყვები ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენის შეჩერების შესახებ იმას ნიშნავს, რომ ეს ფრენა არ განახლდება იმ ვადაში, სანამ ის პრეზიდენტის თანამდებობაზე დარჩება. მე, ცხადია, არ ვიცი, შემდეგი პრეზიდენტი რა გადაწყვეტილებას მიიღებსო, — თქვა ეიზენჰაუერმა.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გვპირდება არა უარის თქმას აგრესიულ პოლიტიკაზე, არამედ ფრენის მხოლოდ დროებით „შეჩერებას“, 1961 წლის იანვრამდე. დიდ ვადას როდი გვპირდება ბატონი პრეზიდენტი ჯაშუშური ფრენის პროვოკაციული პოლიტიკის შესაწყვეტად. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობას არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ამა თუ იმ პასუხისმგებელი პირის რწმუნებათა ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში რაღა ფასი ექნება რომელიც გნებავთ საერთაშორისო შეთანხმებას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლოგიკას რომ დავუჯეროთ, შეუძლებელია მოლაპარაკება, მაგალითად, განიარაღების შესახებ. დღეს შეთანხმება, ვთქვათ, დაიდება, ხოლო ხვალ შეიძლება მას ძალა დაეკარგოს და გადაგდებული იქნება საქაღალდე კალათაში, რამდენადაც პოსტიდან წავა ის პირი, რომელმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადების მიხედვით ისე გამოდის, რომ იმ საკითხის გადაწყვეტა, იფრენენ თუ არა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები სსრ კავშირში, დამოკიდებულია მხოლოდ მასზე. შეხედეთ, რა თავდაჯერებულობაა! ახლა ის აცხადებს, თვითმფრინავები არ იფრენენო. რა სულგრძელობაა!

რა თქმა უნდა, გზავნის თუ არა თვითმფრინავები — ეს პრეზიდენტ ეიზენჰაუერს შეუძლია გადაწყვიტოს. მაგრამ სხვა საქმეა, შეძლებენ თუ არა ისინი ფრენას ჩვენი ტერიტორიის თავზე. ამას ვწყვეტთ ჩვენ და ვწყვეტთ სავსებით გარკვევით — ჩვენ ჩამოვაგდებთ ამ თვითმფრინავებს, გამანადგურებელ დარტყმებს მივაყენებთ ბაზებს, საიდანაც ისინი მოფრინავენ, და იმათ, ვინც ქმნიდა ამ ბაზებს და ნამდვილად განაგებს მათ. ამრიგად საქმე ეხება არა იმას, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა რაღაც „წყალობა მოიღოს“ საბჭოთა კავშირისადმი. ჩვენ მოვითხოვთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან არა იმას, რომ „წყალობა მოიღოს“, არამედ იმას, რომ პატიოსნად დაგმოს ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავების ყაჩაღური ფრენა.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერს კი ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია, რომ დაეგმო ის პროვოკაციული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, რომლის საფუძველზეც ხორციელდებოდა ჯაშუშური ფრენა.

განა შეიძლება პრეზიდენტის ამგვარმა განცხადებამ დააკმაყოფილოს ვინმე, გარდა თვით აგრესორისა.

ეიზენჰაუერის განცხადება იმის შესახებ, რომ პროვოკაციული ფრენა შეაჩერა იმ ვადით, სანამ თეთრ სახლში იმყოფება, — ეს აღიარება და თუნდაც ნახევრადაღიარება კი არ არის, არამედ აღიარებისაგან და, მაშასადამე, თავისი აგრესიული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენაა. მაგრამ პოლიტიკური მოღვაწეობის არათუ თავის დაძვრენის ფანდებს, არამედ ნახევრად აღიარებასაც არასოდეს არ მიუცია მათთვის შესაძლებლობა თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე. ბავშვებსაც კი ეუბნებიან: წაახდინე — გამოტყდი და სთქვი, „მეტს აღარ ვიზამო“. სახელმწიფო საქმეებში კი მით უფრო საჭიროა ბოლომდე აღიარო და გამოიტანო ყველა საჭირო დასკვნა.

საბჭოთა ხალხი, ჩვენი ქვეყნისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ვერ გაგვიგებდა, ჩვენ რომ დავჯერებოდით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფანდებსა და მის მიერ „ბოძებულ“ „წყალობას“, რომ შეაჩერებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე ფრენას 1961 წლის იანვრამდე.

ჩვენ არ შეიძლებოდა არ გავეკვირვებინეთ ეიზენჰაუერის იმ მუქარის მსგავს განცხადებასაც, რომ მას განზრახული აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წარუდგინოს „ღია ცის“ ახალი გეგმა. მას შემდეგ, რაც პენტაგონში დარწმუნდნენ, რომ ამერიკის ჯაშუში თვითმფრინავებისათვის საბჭოთა ცის გზა დახშულია, იქ, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს თვითმფრინავები ასეთივე მიზნებით გზავნონ, მაგრამ გზავნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით. უნდა ვიფიქროთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების შტატი არ არის, პენტაგონის ფილიალი არ არის და უარს იტყვის ასეთ დამამცირებელ როლზე.

ზოგიერთ თქვენგანის ცნობებში ნათქვამია, რომ ამერიკის საჰაერო მეკობრეების ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე მხოლოდ „წვრილმანი ინციდენტია“. თქვენ აქ სხვადასხვა სახელმწიფოს პრესის წარმომადგენლები ხართ, და აი მინდა გკითხოთ: როგორ მოეპყრობოდით თქვენს მთავრობას, გულგრილად, უდარდელად რომ მოჰკიდებოდა იმ ქვეყნების სამხედრო თვითმფრინავების ფრენას თქვენი ქალაქების თავზე, რომლებზეც თქვენ ხშირად თვითონ წერთ, როგორც შესაძლო სამხედრო მოწინააღმდეგეზე? პატივს სცემდით ასეთ მთავრობას? განა თქვენი ოჯახები და თქვენ თვითონ დამშვიდებული იქნებოდით, როცა თქვენი ქალაქების თავზე სხვა ქვეყნის სამხედრო თვითმფრინავის გუგუნს გაიგონებდით?

მაგრამ ხომ უფლება აქვთ საბჭოთა ადამიანებს, რომ სწორედ ასე იმსჯელონ მით უფრო, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხებს ახსოვთ ორი უაღრესად სისხლისმღვრელი ომი, რომლებიც ჩვენ თავს მოგვახვიეს გარედან, ორი ომი, რომლებმაც ათეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა!

საგულისხმოა, რომ იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებმაც წინდაუხედავად დაუთმეს თავიანთი ტერიტორიები, რათა მოემზადებინათ და განეხორციელებინათ აგრესიული ჯაშუშური ფრენა სსრ კავშირის ტერიტორიის თავზე, ახლა იძულებული არიან ამა თუ იმ ზომით თავი იმართლონ საზოგადოებრივი აზრის წინაშე და გაემიჯნონ ამერიკის სამხედრო წრეების მოქმედებას. ჩანს, ისინი თანდათან ხვდებიან, — და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ახლო მომავალში ამას მიხვდება ყველა, ვინც თავისი მიწა-წყალი დაუთმო ამერიკელებს სამხედრო ბაზებისათვის, — რომ ასეთ საქმეებში ხუმრობა არვარგა.

საბჭოთა მთავრობა წუხს, რომ ვერ მოხერხდა თათბირი ამჟამად, მაგრამ მას, როგორც უკვე ვთქვი, არ შეეძლო სხვა პოზიცია დაეკავებინა. ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ იმისათვის, რომ კარგად მოგვემზადებინა ოთხი მთავრობის მეთაურთა შეხვედრა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთმა ცნობილმა ადამიანმა დაატორპედა ეს შეხვედრა, სანამ იგი შეიძლებოდა დაწყებულიყო.

ვიმეორებ, ბატონებო, საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს მშვიდობიან თანაარსებობას, მოლაპარაკებას, გონივრულ ურთიერთმისაღებ შეთანხმებათა მიღწევას. ჩვენ ამ მიმართულებით ვიმუშავებთ, დარწმუნებულნი, რომ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას თანაუგრძნობს და გაგებით ეკიდება ყველა ხალხი, და ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ ამავე მისწრაფებას გამოიჩენენ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებიც, რომ 6-8 თვის შემდეგ ახალ, უფრო ხელსაყრელ ვითარებაში ჩვენ კვლავ შევხვდებით ჩვენს პარტნიორებს, თუ ისინი, გამოიჩენენ ინტერესს და დათანხმდებიან ამ შეხვედრაზე, შექმნიან საჭირო პოლიტიკურ ვითარებას ასეთი შეხვედრისათვის, ესე იგი არ მოაწყობენ პროვოკაციებს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, კვლავ შევხვდებით, რათა განვიხილოთ და გადავწყვიტოთ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები.

ეს დღე შეიძლება უფრო მალეც დადგეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა შეიგნებს, რომ ვერავინ ვერავითარი პროვოკაციული მოქმედებით ვერ შეაშინებს საბჭოთა კავშირს, ვერ შეაშინებს სოციალისტურ ქვეყნებს. შეუძლებელია ჩვენ ქედი მოგვახრევინონ! ჩვენთან ლაპარაკი და შეთანხმება შეიძლება და უნდა ხდებოდეს მხოლოდ თანაბარ საწყისებზე, უმუქაროდ და უშანტაჟოდ.

მინდა მადლობა გამოვთქვა საფრანგეთის პრეზიდენტის გენერალ დე გოლისადმი იმისათვის, რომ მთავრობათა მეთაურებს შესაძლებლობა მისცა შეკრებილიყვნენ პარიზში, იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც მან განახორციელა, რათა უმაღლესი დონის თათბირი გამართულიყო, რომ ჩვენი შეხვედრები მომხდარიყო ისე, როგორც დათქმული იყო, და ყოფილიყო იმ მიზნების შესაბამისი, რომელთა გულისთვისაც ჩვენ აქ ჩამოვედით.

დღეს გამოსამშვიდობებლად ვეწვიე საფრანგეთის პრეზიდენტს. ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები, და მოხარული ვარ, რომ გამოვლინდა ჩვენი საერთო მისწრაფება — კვლავაც ვიხმაროთ ღონისძიებანი ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის ყველა მიმართულებით. მე მივესალმები ამას და კმაყოფილებას გამოვთქვამ, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში მე და პრეზიდენტს საერთო თვალსაზრისი გვაქვს.

მინდა აგრეთვე მადლობა გადავუხადო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ მაკმილანს მისი მონაწილეობისა და გულმოდგინებისათვის, რაც მან გამოიჩინა, რათა უმაღლესი დონის თათბირი გამართულიყო.

მართალია, ამავე დროს არ შემიძლია არ გამოვთქვა ერთგვარი დანანება. საფრანგეთის პრეზიდენტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი რომ დამდგარიყვნენ ფაქტების ობიექტური შეფასების პოზიციაზე და არ დამორჩილებოდნენ თავიანთ მოკავშირულ ურთიერთობას. მათ რომ მეტი ნებისყოფა გამოეჩინათ, შესაძლოა შეერთებული შტატების ხელმძღვანელები იძულებული იქნებოდნენ დაეგმოთ თავიანთი აგრესიული მოქმედება და ამით შეიქმნებოდა პირობები იმისათვის, რომ გამართულიყო უმაღლესი დონის თათბირი და მოეტანა სასარგებლო შედეგი, რასაც იმედით მოელოდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები. გმადლობთ ყურადღებისათვის. ახლა მზად ვარ, ბატონებო, გიპასუხოთ თქვენს კითხვებზე.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის იმპროვიზებული პრეს-კონფერენცია საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობის წინ.

საკდესის ფოტოქრონიკა (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

# დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების უხეში მანევრი პარიზში

როგორც დათქმული იყო პარიზში ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა წინასწარი შეხვედრის შედეგად, 17 მაისის დღე, ამ შეხვედრის თავმჯდომარის პრეზიდენტ დე გოლის წინადადებით, უნდა ყოფილიყო მთავრობათა მეთაურების მიერ გაკეთებულ განცხადებათა განსჯის დღე.

გამოიყენეს რა შექმნილი შესაძლებლობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი გაემგზავრნენ სოფელ პლერ-სიურ-მარნში, რომელიც 120 კილომეტრზე და მეტზე მდებარეობს პარიზიდან. ამ სოფელში პირველი მსოფლიო ომის დროს იდგა რუსეთის ჯარის ნაწილი, სადაც ჯარისკაცად მსახურობდა რ. ი. მალინოვსკი, რომელიც ფრანგებთან ერთად იბრძოდა საფრანგეთისათვის და სისხლი დაღვარა საფრანგეთის მიწა-წყალზე საერთო მტრის — გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმ დროს, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი და რ. ი. მალინოვსკი სოფელ პლერ-სიურ-მარნში იყვნენ და მეგობრულად ესაუბრებოდნენ გლეხებს, რომლებმაც გაიხსენეს ერთობლივი ბრძოლის დღეები, პარიზიდან პოლიციისა და კორესპონდენტთა საშუალებით მოვიდა ცნობა, რომ ელისეს სასახლეში 3 საათზე დანიშნულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების სხდომა.

პარიზში დაბრუნების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს პრეზიდენტ დე გოლის წერილი, რომელიც ადასტურებდა მის განზრახვას მოეწყო ასეთი სხდომა. მაგრამ წერილიდან არ ჩანდა, ეხება საქმე განსჯის დღის შედეგად ახალ წინასწარ თათბირს, თუ მხედველობაშია ცდა, რომ ცალმხრივი წესით მოიწვიონ უმაღლესი დონის თათბირი. ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა საფრანგეთის მხარეს დაეზუსტებინა განზრახული თათბირის ხასიათი, — ეს თხოვნა დაუყოვნებლივ გადასცეს ტელეფონით.

ამ შეკითხვაზე პასუხი არ მოსულა. ამასობაში ელისეს სასახლეში მივიდნენ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მეთაურები. რაკი პასუხი ვერ მიიღო თავის შეკითხვაზე, ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ დე გოლს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„ბატონო პრეზიდენტო,

ჩემს სახელზე თქვენი ამა წლის 17 მაისის წერილთან დაკავშირებით წარმოიშვა შემდეგი გაუგებრობა, რომელზეც პასუხი არ არის მოცემული ამ წერილში.

თქვენს წერილში არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, მხედველობაშია სახელმწიფოების — საფრანგეთის, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურთა შეკრება წინასწარი შეხვედრისათვის იმის გამოსარკვევად, არსებობს თუ არა პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან დაიწყოს უმაღლესი დონის თათბირი, თუ საქმე ეხება თვით უმაღლესი დონის თათბირის მუშაობის დაწყებას.

როგორც უკვე გუშინ ვთქვით, მე როგორც სსრ კავშირის მთავრობის მეთაური მზად ვარ მონაწილეობა მივიღო უმაღლესი დონის თათბირში, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აღმოფხვრის დაბრკოლებას, რომელიც საშუალებას არ მაძლევს მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ თათბირში. ეს დაბრკოლება აღმოიფხვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი განაცხადებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გმობს ამერიკის ავიაციის მომხდარ პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სინანულს გამოთქვამს ასეთი მოქმედების გამო, მიიღებს ღონისძიებებს ამაში დამნაშავე პირთა დასასჯელად და პირობას მოგვცემს, რომ მომავალში ასეთი მოქმედება საბჭოთა კავშირის მიმართ არ იქნება დაშვებული.

თავისთავად იგულისხმება, რომ მე მზად ვარ, როგორც ეს უკვე ეცნობა თქვენი კაბინეტის დირექტორს, მონაწილეობა მივიღო შეხვედრაში, თუ ასეთ შეხვედრას წინასწარი ხასიათი ექნება.

პატივისცემით

**ნ. ხრუშჩოვი**“.

ამ წერილის პასუხად პრეზიდენტმა დე გოლმა უკვე მას შემდეგ, რაც დამთავრდა დასავლეთის სამი სახელმწიფოს მეთაურთა ცალმხრივი თათბირი, რომლებიც ელისეს სასახლეში შეიკრიბნენ, გამოგზავნა პასუხი, რომელშიც ნათქვამი იყო:

„თქვენს წერილში დასმული კითხვის პასუხად ვაზუსტებ, რომ ამ სხდომის მიზანი იყო დაწყებულიყო იმ პრობლემების გარჩევა, რომელთა უმაღლესი დონის თათბირზე განხილვის შესახებ ჩვენ შევთანხმდით, და ამრიგად მას უნდა ჰქონოდა ამ თათბირის პირველი სხდომის ხასიათი“.

ამ განცხადებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს გაკვირვება, რამდენადაც, როგორც ეს ყველამ იცის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის განცხადებაში წინასწარ შეხვედრაზე მთელი გარკვეულობით ჩამოაყალიბა პირობები, რომლებითაც საბჭოთა მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი დონის თათბირში. რამდენადაც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წინასწარი შეხვედრის შემდეგ არ გააკეთა საჯარო განცხადება, რომ გმობს ამერიკის ავიაციის პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დასჯის დამნაშავეებს და რომ ასეთი მოქმედება საბჭოთა კავშირის მიმართ მომავალში აღარ იქნება დაშვებული, სავსებით ცხადია, რომ ასეთ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა უმაღლესი დონის თათბირის გახსნაზე 17 მაისს.

დასავლეთის სახელმწიფოთა ყველა ამ ცალმხრივი მოქმედების აზრი ნათელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესის საკითხთა თანაშემწის ჰეგერტის მიერ 17 მაისს საღამოს პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადებიდან, თითქოს ამ დღეს მუშაობა უნდა დაეწყო უმაღლესი დონის თათბირს, მაგრამ ეს არ მოხდა იმის გამო, რომ სსრ კავშირის წარმომადგენელი არ ესწრებოდა, და რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უმაღლესი დონის თათბირი დამთავრებულად მიაჩნია.

მაგრამ რა დიპლომატიურ ხრიკებსაც უნდა მიმართოს შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი, იგი თავს ვერ აარიდებს პასუხისმგებლობას უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლისათვის.

ყველასათვის ცნობილია, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავისი აგრესიული მოქმედებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უმაღლესი დონის თათბირის წინ და ჯიუტი უარით პასუხი აგოს ამ მოქმედებისათვის დაატორპედა ეს თათბირი, რომელსაც ასეთი იმედით მოელოდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა მთავრობა, ადასტურებს რა განუხრელ მისწრაფებას მშვიდობისადმი და მოლაპარაკების გზით სადავო საერთაშორისო საკითხების მოწესრიგებისადმი, კვლავ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი წინანდებურადვე მზად არის დაიკავოს ადგილი უმაღლესი დონის თათბირის მრგვალ მაგიდასთან, თუ შეერთებული შტატები აღმოფხვრიან ამ თათბირის მუშაობის დაწყების დაბრკოლებებს, რომლებიც მათი დანაშაულით წარმოიშვა.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი.**

პარიზი, 1960 წლის 17 მაისი.

## ვიეტნამის მშრომელთა პარტიის თავმჯდომარეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს

# ამხანაგ ხო ში მინს

ჰ. ჰ ა ნ ო ი.

ძვირფასო ამხანაგო ხო ში მინ,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უაღრესად გულწრფელად და გულითადად გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს თქვენ, ვიეტნამელი ხალხის ერთგულ შვილს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს.

თქვენმა ცხოვრებამ, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერესებისათვის თქვენმა მამაცურმა ბრძოლამ, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებისადმი უსაზღვრო ერთგულებამ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი პატივისცემა მოგიხვეჭათ.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო მეგობარო, ჯანმრთელობას, მრავალ წელს სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს ვიეტნამის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანებისათვის, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის აშენებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

1960 წლის 18 მაისი, მოსკოვი, კრემლი.

# ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია პარიზში

**პარიზი,** 18 მაისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა პარიზში გამართა პრეს-კონფერენცია ჟურნალისტებისათვის, რომლებიც საფრანგეთში ჩამოვიდნენ, რათა გაეშუქებინათ უმაღლესი დონის თათბირი.

16 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით, როცა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმიანი მანქანა უახლოვდებოდა პრეს-ცენტრის შენობას, საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულთბილად მიესალმებოდნენ პარიზელები.

პრეს-ცენტრის ვრცელ ჰოლში პრეს-კონფერენციის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე შეიკრიბა ბევრი ჟურნალისტი, რადიოს, ტელევიზიისა და კინოქრონიკის წარმომადგენელი.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. მან სიტყვა მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელმაც 17 საათზე მოსკოვის დროით გააკეთა განცხადება.

# ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა კანონიკ კირს

**პარიზი,** 17 მაისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის რეზიდენციაში პარიზის საბჭოთა საელჩოში მიიღო საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი ქალაქ დიჟონის მერი კანონიკი ფელიქს კირი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გავიდა საელჩოს ეზოში, რომ შეხვედროდა კირს. ნ. ს. ხრუშჩოვი და ფელიქს კირი გულითადად გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი. შემდეგ მათ შორის გაიმართა გულთბილი საუბარი.

# შეხვედრები ნ. ს. ხრუშჩოვთან

**პარიზი,** 18 მაისი. (საკდესი). გუშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვს ეწვია ქალთა იმ საერთაშორისო შეხვედრის დელეგატთა ჯგუფი, რომელიც კოპენჰაგენში მიმდინარეობდა 1960 წლის აპრილში. ამ ჯგუფში შედიოდნენ მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ქალთა საერთაშორისო ლიგის საფრანგეთის სექციის თავმჯდომარე იზაბელა პონტე, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე ეჟენი კოტონი და სხვ.

თავისი სახელით და კოპენჰაგენში ქალთა საერთაშორისო შეხვედრის პრეზიდიუმის ყველა წევრის წარმომადგენელთა სახელით მათ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს ამ შეხვედრის დელეგატთა წერილი.

* * *

**პარიზი,** 18 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ქალაქ ნიურნბერგის ფაბრიკა-ქარხნების მუშების დელეგატთა ჯგუფი სსრ კავშირის პარიზის საელჩოში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

დელეგაციამ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ნიურნბერგის მუშათა წერილი.

# საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს მშვიდობისმოყვარე... 

# საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს მშოგლიურ მთავრობას

## ომის გამჩაღებელთა უგუნური პოლიტიკა

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო. 4 საათია. ჩქაროსნულ დნობათა განხორციელების შემდეგ აქ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

სიტყვა ითხოვა მემანქანე მ. ახვლედიანმა:

— ჩვენ უდიდესი ინტერესით გავეცანით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას პარიზში. საბჭოთა მთავრობის მეთაური ფაქტებითა და მოვლენების ღრმა ანალიზის საფუძველზე აცხადებს, რომ თათბირს აშკარად მოელის ჩაშლა, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ შეცვლის თავის უგუნურ პოლიტიკას და ბოდიშს არ მოიხდის საბჭოთა კავშირის მიმართ აგრესიული მოქმედებისათვის.

ტრიბუნასთან არის ფოლადის დნობის ოსტატი გ. სიგუა, რომელმაც თქვა: — მთლიანად ვუჭერ მხარს ჩვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკას და პირობას ვიძლევი დაუღალავად ვიშრომო, მეტი ფოლადი მივცე ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

სახელდახელო მიტინგები გაიმართა აგრეთვე ბრძმედის, მილსაგლინავ, წვრილსორტულ, საგლინავ და სხვა საამქროებში, ქალაქის ყველა საწარმო-დაწესებულებაში. რუსთავის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას და მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

## არავითარი დათმობა!

**ბათუმი.** (საკ. კორ.). ბათუმის სავაგონო დეპოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებისადმი, რომელიც მან გააკეთა პარიზში ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების წინასწარ თათბირზე.

— საბჭოთა კავშირის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა მოქმედებამ, — განაცხადა მიტინგზე სავაგონო დეპოს უფროსმა მ. ფირცხალავამ, — გამოიწვია საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერება და შეუძლებელი გახადა საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე, რომლისგანაც ბევრს მოელოდნენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები. ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედების გამო.

— არავითარი დათმობა აგრესორებს, — განაცხადა თავის გამოსვლაში დეპოს მუშამ ლ. კოსენკომ. ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით და კვლავაც დავუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის ლენინურ საგარეო პოლიტიკას.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე დამხმარე საამქროს ოსტატი ა. არაქელიანი და მუშა ჯ. ქავჟარაძე.

მიტინგის მონაწილეებმა პირობა დადეს კიდევ უფრო ენერგიულად იშრომონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

# კოსმოსური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ



**ამა წლის** 17 მაისს 18 საათისათვის მოსკოვის დროით თანამგზავრმა ხომალდმა 48-ჯერ შემოუარა დედამიწას. თანამგზავრი ხომალდის ბორტზე აპარატურა კვლავ ნორმალურად მუშაობს. დედამიწიდან გადაცემული ნიშნების მიხედვით წარმოებს ხომალდზე დადგმული სხვადასხვა [illegible] სისტემები მოსახსნელ კაბინაში ინარჩუნებენ პირობებს, რომლებიც საჭიროა ადამიანის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის. წარმოებს თანამგზავრ ხომალდზე დადგმული ხელსაწყოებისა და სისტემების მუშაობის შესახებ მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავება და შესწავლა. დედამიწის ავტომატური საზომი კომპლექსის რადიოტექნიკური სადგურები განაგრძობენ დაკვირვებას თანამგზავრი ხომალდის მოძრაობაზე. გაზომვათა შედეგების მიხედვით, რომელიც მუშავდება ელექტრონის გამოსათვლელი მანქანების დახმარებით, სისტემატურად წარმოებს თანამგზავრი ხომალდის მოძრაობის პარამეტრების დაზუსტება. (საკდესი).

# ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა დე გოლს

18 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გენერალ დე გოლს პარიზიდან გამგზავრების წინ.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ა. ა. გრომიკო, რ. ი. მალინოვსკი და სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი**

# ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ჰ. მაკმილანს

18 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. მაკმილანს პარიზიდან გამგზავრების წინ.

შეხვედრას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ა. ა. გრომიკო, რ. ი. მალინოვსკი და სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ა. ა. სოლდატოვი; დიდი ბრიტანეთის მხრივ — ს. ლოიდი, ფ. ჰოიერ მილარი, ელჩი სსრ კავშირში პ. რეილი.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი**

# ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს საჩუქარი

**პარიზი,** 17 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს საბჭოთა საელჩოში მიიღო პარიზის იმ სტამბის დელეგაცია, სადაც იბეჭდება წიგნი „ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში", რომელიც მიეძღვნა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტს საფრანგეთში ამა წლის მარტ-აპრილში. ეს წიგნი დიდი წარმატებით სარგებლობს ფრანგ მკითხველთა შორის.

დელეგაციის შემადგენლობაში იყო საფრანგეთის უხუცესი მკინძავი ლევიცკი, რომელიც პირადად შეხვედრია პარიზში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. მუშათა წარმომადგენელმა ქალმა პერომ სტამბის მუშების სახელით ნიკიტა სერგის-ძეს გადასცა საჩუქარი — ტარსიკონის ყდაში ჩასმული წიგნი „ხრუშჩოვი საფრანგეთში".

წიგნის მიღების დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა დელეგაციის წევრებს, ხოლო მათი სახით სტამბის ყველა მუშას საჩუქრისათვის და სტუმრები მიიწვია ესადილნათ მასთან.

საჩუქრის გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

# მ. ტორეზი და ჟ. ვერმერში ეწვივნენ ნ. ს. ხრუშჩოვს

**პარიზი,** 18 მაისი. (საკდესი). გუშინ დილით ამხანაგები მ. ტორეზი და ჟ. ვერმერში მივიდნენ საბჭოთა საელჩოში, სადაც შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ისინი მიიწვია საუზმეზე, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

# ნ. ს. ხრუშჩოვი ბერლინში მიიწვიეს

**ბერლინი,** 17 მაისი. (საკდესი). ადნის სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სთხოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს პარიზიდან გამოვლით ეწვიოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

17 მაისს ჟურნალისტებთან საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვმა პარიზში განაცხადა, რომ მოსკოვს დაბრუნებისას შეჩერდება [illegible]

# პარიზი, 17 მაისი...

**პარიზი,** 17 მაისი. („პრავდის" სპეც. კორ.). ამ დღეებში პარიზელები ხშირად ხედავენ ნ. ს. ხრუშჩოვს, მის მშვიდ ღიმილს, მოწმენი არიან მისი დიდი ინტერესისა ამ ქალაქის ცხოვრებისადმი და განსაკუთრებით მისი უბრალო ადამიანების ცხოვრებისადმი.

როცა ნიკიტა სერგის-ძე დღეს დილით ქუჩაში გავიდა, საელჩოს ახლოს იმპროვიზებული პრეს-კონფერენცია გაიმართა. საელჩოსთან დადარაჯებული ჟურნალისტები მას მჭიდრო რკალად შემოეხვივნენ, და იგი ხალისით უპასუხებდა ყველა მათს კითხვაზე.

მან ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ სსრ კავშირის მონაწილეობა უმაღლესი დონის თათბირში შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებენ, რომ მათ ჩაიდინეს აგრესია, როცა საბჭოთა საჰაერო სივრცეში გაგზავნეს სამხედრო მზვერავი თვითმფრინავი ჯაშუშური დავალების შესასრულებლად, საჯაროდ მოიხდიან ბოდიშს, დაგმობენ თავიანთ მოქმედებას, დასჯიან დამნაშავეებს და განაცხადებენ, რომ ეს აღარ გამეორდება. თუ ეს არ იქნა, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჩვენ შინ მივდივართ.

— შესაძლოა, ხვალ გავფრინდეთ, — დასძინა მან მეორე კითხვაზე პასუხის მიცემის დროს. — გზად შევჩერდებით ბერლინში, სადაც მინდა ვინახულო ჩემი მეგობრები ვალტერ ულბრიხტი, ოტო გროტევოლი და სხვები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კორესპონდენტებს უთხრა, რომ არ ხავა ისე, თუ არ გამოეთხოვა მათ პრეს-კონფერენციაზე.

— უნდა გითხრათ, ბატონებო, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ აუცილებლად შევხვდებით.

ცოტა უფრო გვიან ნ. ს. ხრუშჩოვი და მარშალი რ. ი. მალინოვსკი ქალაქგარეთ გაემგზავრნენ. პარისის აღმოსავლეთით დაახლოებით 120 კილომეტრზე, მარნის დეპარტამენტში, ქალაქ სეზანის ახლოს არის პატარა სოფელი პლერი. მარნაზე მომხდარი ცნობილი ბრძოლის დროს 1914 წელს, როცა გერმანელთა ურდოები პარიზისაკენ მიიწევდნენ, აქ იყო საფრანგეთის მარშლის ფოშის შტაბი. სოფელი მაშინ ფრონტის ხაზის ახლოს იყო. მარშალი რ. ი. მალინოვსკი კარგად იცნობს ამ სოფელს და ახსოვს იგი. ახალგაზრდობისას იგი ჯარისკაცი იყო პოლკში, რომელიც საფრანგეთში მყოფ რუსულ საექსპედიციო კორპუსში შედიოდა და მონაწილეობდა პირველი მსოფლიო ომის ბრძოლებში დასავლეთის ფრონტზე. ბრძოლების შემდეგ ის ნაწილი, სადაც რ. ი. მალინოვსკი მსახურობდა, დაბინავებულ იქნა პლერში და იქ იგი თავის ამხანაგებთან ერთად რამდენიმე თვეს ცხოვრობდა სამშობლოში გაგზავნამდე. სწორედ ამ სოფელში ორმოც წელზე მეტი ხნის შემდეგ ნიკიტა [illegible]

— კარგი ბიჭები არიან რუსი ჯარისკაცები, — წყნარად ეუბნება მოხუცი ნიკიტა სერგის-ძეს. — ისინი ყოველთვის გვეხმარებოდნენ მეურნეობაში.

ვიწრო ქუჩებით ყველანი მიდიან ფარდულისაკენ, რომლის სათივეზეც მაშინ ცხოვრობდა რ. ი. მალინოვსკი. ნიკიტა სერგის-ძე სათივეზე მიუთითებს და ხუმ- [illegible]

[illegible] დეს აღარ იქნება დაშვებული. განა ცხადი არ არის, რომ ამ პირობებში ლაპარაკიც ზედმეტი იყო უმაღლესი დონის თათბირის გახსნაზე 17 მაისს.

ამის შემდეგ რაღა ფასი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესის საკითხებში თანაშემწის ჰეგერტის მსჯელობას იმის შესახებ, რომ [illegible]

— წერს გაზეთი — ეიზენჰაუერს უკანასკნელი შანსი ჰქონდა გამოესწორებინა მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებული საქმე. მას შეეძლო გაეკეთებინა ეს თუნდაც იმით, რომ მიემართა საფრანგეთისა და ინგლისის შუამავლობისათვის. მაგრამ მან ეს არ ქნა...". მეორე სტატიაში იგივე გაზეთი წერს: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვაშინგტონში დაბრუნების შემდეგ ეიზენჰაუერს მოუხდება აუხსნას ამერიკელ ხალხს ამერიკის პოლიტიკის ჩაშლის მიზეზები. ძნელი სათქ- [illegible]

[illegible] დანიშნულია მთავრობათა მეთაურების სხდომა. დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა მიმართეს ახალ უხეშ მანევრს, რომელზეც ლაპარაკია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში. დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა ისე მოგვაჩვენეს თავი, თითქოს არაფერი არ მომხდარა და თითქოს შეიძლება დაწყებულ იქნას უმაღლესი დონის თათბირი, თითქოს მათ არც კი მოუსმენიათ საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადება.

ყველასათვის ცნობილია, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს წინასწარი შეხვედრის შემდეგ არ გაუკეთებია საჯარო განცხადება, რომელიც გმობდეს ამერიკის ავიაციის პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მას არ განუცხადებია, რომ განზრახული აქვს დასაჯოს დამნაშავენი, და რომ ასეთი მოქმედება საბჭოთა კავშირის მიმართ არასო- [illegible]

[illegible] სი მნიშვნელობა აქვს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას ასეთი პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ საიმედო, ნათელი და საჯარო გარანტიების საჭიროების შესახებ. ეს პოლიტიკა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაჭრით, არაორაზროვნად უნდა დაგმონ ისე, რომ ეს ნდობას უნერგავდეს ყველა ქვეყნის ხალხებს.

ამერიკის დიპლომატიამ ჭეშმარიტად კუთხეში მიიმწყვდია თავი. „აღშფოთებამ, რომელიც გამოიწვია თვითმფრინავ „უ-2"-ის ინციდენტმა, — აღიარებს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი", — აიძულა ნორვეგია, პაკისტანი და თურქეთი განეცხადებინათ, რომ მათ არა სურთ, რომ მათი ტერიტორიებიდან ჯაშუშური ფრენა წარმოებდეს". ამის შესახებ მჭევრმეტყველურად წერს ლონდონის „ტაიმსიც": „ამერიკის შეერთებული შტატების ბევრმა მოკავშირემ საჯაროდ გამოთქვა სინანული რუსეთის ტერიტორიის თავზე საზვერავი ფრენის გამო, მათი სურვილია, რომ ეს ფრენა შეწყდეს. მათ, ეტყობა, ეშინიათ, რომ კავშირი, რომელიც მათ ამერიკის შეერთებულ შტატებთან აერთებს, საფრთხეს შეიცავს".

დასავლეთის ბურჟუაზიულ პრესას სულ უფრო და უფრო უჭირს მოუნახოს გამართლება ამერიკის პოლიტიკას, რომელმაც უმაღლესი დონის თათბირი დაატორპედა. გაზეთი „ფრანს-სუარი" დღეს უბრუნდება უკანასკნელი დღეების ისტორიას და ცდილობს თავისებურად აუხსნას იგი მკითხველებს. „თათბირამდე ჯერ კიდევ 24 საათით ადრე, [illegible]

„პრავდა", 18 მაისი. [illegible]



**საქართველოს** სტუდენტი ახალგაზრდობა ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადებას და გამოთქვამს გულისწყრომას ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

**სურათზე:** თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ანზორ მასურაძე ამხანაგებს აცნობს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების ტექსტს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# პარტიის ჯარისკაცი

**რევოლუციურ მოღვაწეობაში აქტიური მონაწილეობისათვის და დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობის გამოჩენისათვის ვერა ზაქარიას ასულ ხორუჟაიას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.**

* * *

**თითქმის** თვრამეტი წელიწადი გავიდა მამაცი ბელორუსი ქალის ვერა ზაქარიას ასულ ხორუჟაიას დაღუპვის დღიდან, ის კი კვლავ თითქოს ცოცხალია, კვლავ იბრძვის და იღვწის თავისი უკვდავი გმირული საქმითა და სიტყვით.

შარშან 25 ნოემბერს „პრავდაში" გამოქვეყნდა ვერა ხორუჟაიას ჩანაწერები. „გმირის ქვრივობა სჯობს ლაჩრის ცოლობას", ასე ერქვა ერთ-ერთ ჩანაწერს. ხოლო პარტიზანული მოძრაობის ბელორუსიის შტაბის ყოფილი თანამშრომელი ი. კრავჩენკო იგონებდა: დამევალა ფრონტის ხაზამდე მიმეცილებინა პარტიზანთა ერთი ჯგუფი, რომელიც მტრის ზურგში უნდა შეჭრილიყო. ვერა ხორუჟაიამ, რომელსაც კარგად ვიცნობდი პარტიული მუშაობით, გადმომცა რვეული და მითხრა, დაბრუნებამდე უნდა შემინახოო...

მაგრამ ვერა ხორუჟაია აღარ დაბრუნებულა. ფაშისტებმა შეიპყრეს იგი და საშინლად აწამეს. გმირულად დაეცა მისი ქმარი სერგი კორნილოვიც. ხოლო მათი პატარა ქალ-ვაჟი ვერას დედასთან დარჩა.

... ვერა ზაქარიას ასული ხორუჟაია 1903 წელს დაიბადა. 1920 წელს იგი კომკავშირში შევიდა და მთელი თავისი სიცოცხლე კომუნისტური პარტიის საქმეს შესწირა.

1924 წლის თებერვალში ვერა დასავლეთ ბელორუსიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს. კომუნისტი ქალის აქტიურმა პროპაგანდისტულმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ ერთობ გააშმაგა პოლონელი ფაშისტები, რომელთაც ხორუჟაია დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. ვერას 6 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო მალე იმ დროისათვის მეტად გახმაურებული „133-ის პროცესი" მოაწყეს და ვერა ხორუჟაიას ახლა რვა წლის პატიმრობა მიუსაჯა.

ქედმოუხრელმა რევოლუციონერმა ქალმა მრავალი ტანჯვა და წამება გადაიტანა. მალე საქმეში საბჭოთა მთავრობა ჩაერია და ვერა ხორუჟაია თავის საყვარელ ქვეყანაში დაბრუნდა.

სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ქვეყანას, ვერაც იქ იყო. დაიწყო ომი, და მან ვაჟკაცივით აიღო თოფი, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ სამშობლოს ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის.

# განის სავაჭრო პალატის დელეგაცია თბილისში

18 მაისს საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ განის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ო. ბონსუ და ამ პალატის გენერალური მდივანი ჩ. ტეტეი.

სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ა. რუხაძე და პალატის პრეზიდიუმის წევრი ვ. ა. ერქომაიშვილი.

მალე ჩამოსვლის შემდეგ ო. ბონსუ და ჩ. ტეტეი ვიზიტით იყვნენ საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის თავმჯდომარესთან რ. ს. ელიგულაშვილთან.

რამდენიმე დღის განმავლობაში განის სავაჭრო პალატის დელეგაციის წევრები გაეცნობიან საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, ჩვენი რესპუბლიკის საქმიან ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან. (საქინფორმი).

# აგრესორები — სამარცხვინო ბოძზე

**სსრ კავშირის** ჟურნალისტთა კავშირის გამომცემლობამ ეს არის გამოუშვა წიგნი „აგრესორები გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე! სიმართლე სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის თვითმფრინავის პროვოკაციული შემოჭრის შესახებ".

მკითხველი წიგნში ნახავს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის ნაწილებს, ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოში დარბაზობაზე, მის საუბარს საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებთან და განცხადებას, რომელიც მან 16 მაისს გააკეთა პარიზში.

კრებულში გამოქვეყნებულია აგრეთვე საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, პაკისტანის, ნორვეგიის მთავრობებისადმი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პრეს-კონფერენციის მასალები.

მკითხველი გაეცნობა მრავალ ფაქტს ამერიკის სამხედრო პროვოკაციათა პოლიტიკის შესახებ, საზღვარგარეთელ მოღვაწეთა სხვადასხვა შეფასებასა და აზრს, ფართო საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლების, ამ საკითხზე მსოფლიო პრესის კომენტარებს.

ამ წიგნის გამოშვებით სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა დაისახა მიზანი — ამხილოს ამერიკის რეაქციული წრეების ვერაგული პოლიტიკა, რაც საშიშია მშვიდობის საქმისათვის.

მასობრივი ტირაჟით გამოცემული კრებული დღეს გასაყიდად გამოვა.

# ამერიკელი მილიტარისტები — სამარცხვინო ბოძზე

## „საბედისწერო შეცდომა“

### უ. ლიპმანის სტატია

**ნიუ-იორკი,** (საკდესი). სტატიაში სათაურით „უ-2“ პარიზში“ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი უოლტერ-ლიპმანი წერს:

„16 მაისის ნაშუადღევისათვის ნიუ-იორკის დროით მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ არის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო შანსი, რომ უმაღლესი დონის თათბირი არ ჩაიშლება. პრეზიდენტი, უეჭველია, არ წავა რუსეთში, რამდენადაც მიწვევა უკან იქნა წაღებული. ამრიგად, ცდები, რომ დაედოთ დროებითი ზავი ცივ ომში და შეენელებინათ დაძაბულობა, ტრაგიკული ფიასკოთი დამთავრდა — თუ არ მოხდა დიპლომატიური სასწაული.

**საკითხი, რომლის გამო თათბირი ჩაიშალა, არის „უ-2“-ს გაფრენა, ან უფრო ზუსტად, პოზიცია, რომელიც პრეზიდენტმა და მისმა მთავრობამ დაიკავეს.** ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა თვითმფრინავი ხელში ჩაიგდეს, ბ-ნმა ხრუშჩოვმა ღიად დასტოვა კარი, რომლითაც პრეზიდენტს შეეძლო დიპლომატიურად გამოსულიყო საძნელო მდგომარეობიდან. ბ-ნმა ხრუშჩოვმა თქვა, არ მჯერა, რომ ბ-ნმა ეიზენჰაუერმა გასცა ბრძანება ასეთი ფრენის შესახებო.

ბ-ნმა ხრუშჩოვმა, უეჭველია, იცოდა, რომ ბ-ნმა ეიზენჰაუერმა, ალბათ, სანქცია მისცა ფრენის საერთო გეგმას, მაგრამ ამჯობინა პრეზიდენტისათვის ეთქმევინებინა ის, რაც ფაქტიურად მხოლოდ უბადრუკი ჭეშმარიტება იყო, რომ მას სანქცია არ მიუცია კონკრეტულად ამ ფრენაზე. დიპლომატიური პასუხი იქნებოდა არ ეთქვა იმ დროს არაფერი ან, უკიდურეს შემთხვევაში, პირობა მიეცა ჯეროვნად გამოეკვლია მთელი ეს საქმე. ამის ნაცვლად ბ-ნმა ეიზენჰაუერმა უპასუხა, რომ იგი პასუხს აგებს, რომ ასეთი ფრენა საჭიროა და — თუ მას ეს პირდაპირ არც უთქვამს, მთელ მსოფლიოს აფიქრებინა, — რომ ფრენა გაგრძელდება. სწორედ ამით დაიკეტა კარი, რომელიც გაალო ბ-ნმა ხრუშჩოვმა. **ამან უხერხულობა, რომელიც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ წაგვისწრეს ჯაშუშურ ოპერაციაზე, გადააქცია საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტისადმი პირდაპირ გამოწვევად.**

**ეს აღიარება, ეს უარი—ესარგებლა საერთოდ მიღებული დიპლომატიის ხერხებით საბედისწერო შეცდომა იყო,** რადგან მან ბ-ნ ხრუშჩოვს მოუსპო შესაძლებლობა გვერდი აევლო ამ საქმისათვის...

პარიზიდან ორშაბათს მიღებული ცნობები ცხადყოფენ, რომ ბ-ნმა ეიზენჰაუერმა უკვე შეიგნო, რომ მისი აღიარება ფრენის შესახებ მთავარი შეცდომა იყო, რომელიც უნდა გამოსწორდეს. შაბათს კორესპონდენტებს, როგორც ჩანს, მისცეს ცნობა, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვაპირებდით გაგვეცხადებინა, რომ ფრენა გაგრძელდება. კვირას, გამოვიდა რა რადიოთი ჩვენს ქვეყანაში, იგივე თქვა ბ-ნმა ჯორჯ ალენმა. ხოლო ორშაბათს პრეზიდენტმა აცნობა ბ-ნ ხრუშჩოვს, რომ რუსეთზე ფრენა შეჩერებულია „და არ განახლდება“. ერთი კვირის წინ ეს, შესაძლოა, საკმარისი იქნებოდა, რომ საქმე ამით გათავებულიყო.

მაგრამ უკან დახევა დაგვიანებული აღმოჩნდა, და გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ იგი საკმარისი არ იქნება. უკანასკნელ კვირაში ფრენამ და იმან, თუ როგორ მოეკიდნენ მას, საბჭოთა მთავრობას მისცეს ფართო შესაძლებლობანი შეესუსტებინა ამერიკის მოკავშირეთა რკალი რუსეთის გარშემო. იმათ, ვინც ამბობს, რომ ბ-ნმა ხრუშჩოვმა ამ შესაძლებლობას ხელი ჩასჭიდა მხოლოდ პროპაგანდის ინტერესებისათვის, როგორც მე მგონია, ჯერ ვერ შეუგნიათ იმ კატასტროფის მთელი სერიოზულობა, რაც ჩვენ დაგვატყდა. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირისათვის ამაში გაცილებით უფრო მეტი რამ არის, ვიდრე პროპაგანდა. ეს არის იარაღი, რომლის დახმარებითაც შეიძლება იმ კავშირის თუ გაწყვეტა არა, დარღვევა მაინც, რომელიც მას არტყამს გარშემო. უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა მთავრობა არ გამოიყენებდა ამ შესაძლებლობას, რათა ნორვეგიის, ირანის, პაკისტანის, თურქეთისა და იაპონიის მსგავსი ქვეყნები იძულებინა მიეღოთ ვალდებულებანი და ღონისძიებანი, რომლებიც ცოტათი როდი ანეიტრალებენ მათ, როგორც ამერიკის ავიაციის ბაზებს. მორალურად და იურიდიულად ეს ჩვენი მოკავშირეები სრულიად უმწეონი არიან ამგვარი საბჭოთა მოთხოვნების წინაშე.

საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია ჩვენი მოკავშირეების ნეიტრალიზაციით თავის საზღვრებზე იმდენადვე მაინც, რამდენადაც დასავლეთ ბერლინის ნეიტრალიზაციით. ჩვენ არა გვაქვს საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა მთავრობა ბოლომდე არ გამოიყენებს შესაძლებლობას, რომელიც მის წინაშე დაისახა ასე მოულოდნელად და ძალდაუტანებლად.

ამიტომ თითქმის არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ თვითმფრინავის ინციდენტმა საშუალება მისცა ბ-ნ ხრუშჩოვს მოეპოვებინა დიპლომატიური უპირატესობა ჩვენს პატარა მოკავშირეებთან ურთიერთობაში, რომლებიც მას არტყიან გარშემო, — ნორვეგიიდან იაპონიამდე. თუ ბერლინში მისთვის საქმე შეფერხდა, მან შესაძლებლობა მიიღო ეს აინაზღაუროს სხვა ადგილებში. სიძნელეები მოკავშირეების მიმართ, რომლებიც გარემოცვას წარმოადგენენ, ჩვენთვის ჯერ როდი დამთავრებულა. ყოველივე ამაში ჩვენთვის სასიამოვნო ცოტა რამ არის. ბ-ნმა ხრუშჩოვმა ეს შესაძლებლობა მიიღო ჩვენი საკუთარი შეცდომების გამო...“

## საჭიროა სამართლისა და კანონის აღდგენა

**ბერლინი,** 17 მაისი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული გაზეთები დღეს პირველ გვერდზე ბეჭდავენ მთავრობათა მეთაურების წინასწარ შეხვედრაზე ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის სრულ ტექსტს ან დაწვრილებით შინაარსს. როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, საბჭოთა კავშირმა პარიზში მოითხოვა შეიქმნას თანასწორუფლებიანი პირობები მოლაპარაკებისათვის.

უმაღლესი დონის თათბირზე მოლაპარაკების დაწყებამდე საჭიროა აღდგენილ იქნეს სამართალი და კანონი, განაგრძობს „ნოიეს დოიჩლანდი“. არ შეიძლება მოლაპარაკება საერთაშორისო უუფლებობის, ანარქიის, ჯუნგლის კანონის მოქმედების პირობებში. ასეთ პირობებში მოლაპარაკება ხალხის უხეში მოტყუება იქნება.

„ბერლინერ ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა ცნობა პარიზიდან სათაურით: „უმაღლესი დონის თათბირი პროვოკაციების ზეგავლენით არ უნდა მიმდინარეობდეს“.

გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, საბჭოთა მთავრობა მომავალშიც ეცდება შეთანხმების მიღწევას.

გაზეთ „ნაციონალ-ცაიტუნგის“ სათაური ასეთია: „პროვოკაციების პოლიტიკა, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ, ილუზორულს ხდის მოლაპარაკებას“. აღნიშნავს რა, რომ უმაღლესი დონის თათბირი დაატორპედეს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა წრეებმა, „ნაციონალ-ცაიტუნგი“ ხაზს უსვამს, რომ მოლაპარაკების წარმატებისათვის საჭიროა პატიოსანი პოლიტიკა და სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემა.

## ჩინელი ხალხის მხარდაჭერა

**პეკინი,** 18 მაისი. (საკდესი). ჩინელი ხალხი ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა მთავრობის მტკიცე და თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომლის მიზანია მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება, და მხარს უჭერს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა წინასწარ შეხვედრაზე პარიზში.

ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ გო მო-ჟომ, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ჩინეთის კომიტეტის თავმჯდომარემ ლიაო ჩენ-ჯიმ, სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარემ ლიუ ნიმ-იმ, ჩინეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხუ იაო-ბანმა და სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაციის თავმჯდომარემ ცაი ჩანმა იმ ორგანიზაციების სახელით, რომლებსაც ისინი მეთაურობენ, გააკეთეს განცხადება სსრ კავშირის მთავრობის სამართლიანი პოზიციის მხარდასაჭერად.

მშვიდობის დაცვის ჩინეთის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის გო მო-ჟოს განცხადებაში ნათქვამია:

„ჩინელი ხალხი მტკიცედ ილაშქრებს აგრესიისა და ომის პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის იმპერიალიზმი ახორციელებს, და გადაჭრით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის მტკიცე და სამართლიან პოზიციას. ჩვენ მზად ვართ საბჭოთა ხალხთან და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად ვიხმაროთ მუდმივი, დაუცხრომელი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისათვის“.

პეკინის ყველა დღევანდელი გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე დიდრონი სათაურებით აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა წინასწარ შეხვედრაზე პარიზში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პასუხს კორესპონდენტთა კითხვაზე, აგრეთვე ფოტოსურათებსა და ანგარიშებს საბჭოთა ხალხის მიტინგების შესახებ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების მხარდასაჭერად, ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის მიერ საბჭოთა კავშირის საჰაერო საზღვრების დარღვევის წინააღმდეგ.

ჩინელი ხალხი, ხაზგასმით აღნიშნავს სათაურში „ჟენმინ ჟიბაო“, მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციას და მუდამ საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცედ იბრძოლებს ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

## თათბირი მინერალური ნედლეულის გამდიდრების საკითხებზე

18 მაისს თბილისში დაიწყო სრულიად საკავშირო თათბირი მინერალური ნედლეულის გამდიდრების საკითხებზე. იგი მოაწყო სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის სამინისტრომ. თათბირში მონაწილეობენ სრულიად საკავშირო (მოსკოვის) მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის, ლენინგრადის მადნეულის მექანიკური გამდიდრების ინსტიტუტის, ყაზახეთის, ციმბირისა და კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტების, კრივოი როგის შავი ლითონების მექანიკური გამდიდრების ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა კავკასიის (თბილისის) მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორმა გ. ქომეთიანმა. მან ხაზი გაუსვა, რომ მომავალი თათბირის ამოცანაა გაფართოვდეს შავი, ფერადი, და იშვიათი ლითონების, განბნეული ელემენტების გამდიდრების ტექნოლოგიის ახალი მეთოდების გამოყენება ნედლეულის ბაზის გასადიდებლად. ამ საკითხებს დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

დილის სხდომამ მოისმინა 8 მოხსენება. მათ შორის არის მოხსენება ი. შმანენკოვისა (მოსკოვი) — სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის სამინისტროს სისტემის ლაბორატორიების მდგომარეობა და ამოცანები. ბ. გერშოიგმა და ვ. კუდილინმა (კრივოი როგი) გაუზიარეს თათბირს მადნების დაქუცმაცებისა და გამდიდრებადობის შეფასების დროს მინერალთა გახსნის პარამეტრების გამოკვლევის შედეგები. იშვიათი ლითონიანი კონცენტრატების გადამუშავების ახალ მეთოდებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ლ. ზვერევმა (მოსკოვი). საღამოს გაიმართა მოსმენილ მოხსენებათა განხილვა.

მოხსენებათა განხილვა სამ დღეს გაგრძელდება. (საქდესი).

## უსწრებენ სამშობლოს

◆ **წითელწყარო.** (ტელეფონით საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა 10 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 18.619 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 18.824 ჰექტარი. თესვის დავალება გადაჭარბებითაა შესრულებული სოფელ არხილოსკალოს კიროვის, ზემო ქედის სტალინის, წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში და ქვემო ქედის კოლმეურნეობაში.

საგაზაფხულო კულტურების თესვა გრძელდება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი ვენახების გაშენებას. რაიონის კოლმეურნეობებს წელს გეგმით 80 ჰექტარი ახალი ვენახები უნდა გაეშენებინათ. მევენახე კოლმეურნეებმა ამ დავალების შესასრულებლად ყველა პირობა მოამზადეს და 163 ჰექტარის გადაჭარბებით შეასრულეს ახალი ვენახების გაშენების წლიური დავალება.

◆ **ამბროლაურის** რაიონის კოლმეურნეობებმა 15 მაისისათვის 101,4 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა. აქედან მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით.

თესვა გრძელდება.

◆ **ადიგენის** რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 15 მაისისათვის 107 პროცენტით შეასრულეს მარცვლეული კულტურების, კარტოფილისა და საკვები ძირხვენების თესვის ვალდებულებანი.

თესვა გრძელდება.

◆ **მცხეთის** რაიონმა 15 მაისისათვის შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 4.420 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 4.447 ჰექტარი.

თესვა გრძელდება.

◆ **თერჯოლის** რაიონის კოლმეურნეობებმა 10 მაისისათვის შეასრულეს მარცვლეულის თესვის გეგმა. მარტო სიმინდი დათესილია 5.650 ჰექტარზე. თესვა გრძელდება. (საქდესი).



თბილისის „დოსააფის“ რადიოკლუბში. რადიომოყვარულები (მარცხნიდან) ლუიზა ოსიძე და როინ ჩარგეიშვილი ისმენენ კოსმოსური ხომალდის სიგნალებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ჟოუ ენ-ლაის დეპეშა ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

**პეკინი,** 18 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: საბჭოთა კავშირში კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის წარმატებით გაშვებასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჟოუ ენლაიმ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. დეპეშაში ნათქვამია:

**ძვირფასო ამხანაგო ნ. ს. ხრუშჩოვ!**

საბჭოთა კავშირის მიერ დიდი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის წარმატებით გაშვებასთან დაკავშირებით ჩინელი ხალხისა და ჩინეთის მთავრობის სახელით უაღრესად მხურვალედ გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით დიდ საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა კავშირის მთავრობას.

საბჭოთა კავშირი თავის მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს მუდამ იყენებს მშვიდობისა და კაცობრიობის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმისადმი სამსახურის კეთილშობილური მიზნით. დიდი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის ახლანდელი წარმატებით გაშვება უდიდესი წვლილია კოსმოსის დაპყრობისადმი კაცობრიობის დიდებული მისწრაფების განხორციელების საქმეში და ამით კიდევ უფრო მოაახლოვა ის დრო, როცა კაცობრიობა დაიპყრობს სხვა ციურ სხეულებს.

საბჭოთა კავშირის მეცნიერების ეს ბრწყინვალე მიღწევები სავსებით ცხადყოფენ სოციალისტური სისტემის შეუდარებელ უპირატესობას, აგრეთვე ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ უკავია წამყვანი ადგილი მსოფლიოში უახლესი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ეს მიღწევები მძიმე ლახვარს სცემენ ომის იმპერიალისტურ ძალებს, მნიშვნელოვნად განამტკიცებს და განამტკიცებენ ყველა ქვეყნის ხალხთა მებრძოლ სულისკვეთებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ჩინელი ხალხი გახარებული და აღფრთოვანებულია ამ დიდი წარმატებებით, რომლებიც მოძმე საბჭოთა ხალხმა მოიპოვა.

ჟოუ ენ-ლაი

## ოცნება ფრთებს ისხამს

**კაცობრიობა** დიდი ხანია ოცნებობდა კოსმოსის დაპყრობაზე, დაუსრულებელ სივრცეებში შეჭრაზე. ეს ოცნება გასდევს ცივილიზაციის მთელ ისტორიას, დედალოსისა და იკაროსის შესახებ ანტიკური მითებით დაწყებული და ჰერბერტ უელსის წარმტაცი მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანებით დამთავრებული. მაგრამ საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაფრენამ ფანტასტების მიერ დახატულ ყველაზე უფრო გაბედულ სურათებს გადააჭარბა. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება ფრთებს ისხამს, რომ ადამიანის მეცნიერული და ტექნიკური აზროვნების არნახული განვითარება თანდათან იმორჩილებს ბუნების სტიქიურ, დღემდე შეუცნობელ ძალებს, რომ ადამიანი ხდება ბუნების ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი. და ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, უდიდესი სიამაყის გრძნობას გვგვრის ის გარემოება, რომ ყოველივე ეს მშვიდობას, მეცნიერების პროგრესს, კაცობრიობის მიერ სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის დიდ საქმეს ემსახურება.

საბჭოთა ადამიანმა, სოციალისტურმა წყობილებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი უდიდესი შემოქმედებითი პოტენცია. და ყოველივე ამან განა შეიძლება საბჭოთა მწერლებს არ აღუძრას ხალხის გმირობით [illegible] შემოქმედ[illegible] ცნიერ[illegible] ნვალებ[illegible] მთელი [illegible] ხოთ ი[illegible] ბები, [illegible] ლიოს [illegible]

ბორის პოლევოი, მწერალი.

# თანამგზავრი მიჰქრის, მსოფლიო აღიდებს!

★ ★ ★

## ადამიანი კოსმოსში

შეუძლებელია სიამაყე და სიხარული არ გამოთქვა ამ დღეების უდიდესი მოვლენის გამო, რომელმაც მთელი პროგრესული კაცობრიობა განაცვიფრა — ცაში აიჭრა საბჭოთა ადამიანის გონების ბრწყინვალე ნაყოფი კოსმოსური ხომალდი. ჩვენ, ქართველ ხალხს, ქართველ მეცნიერებს განსაკუთრებით გვახარებს, რომ იგი ჩვენს მშობლიურ ცაზეც გამოჩნდა და კვლავაც არაერთხელ გაიკიაფებს.

აღმაშფოთებელია, რომ საბჭოთა ხალხის ასეთი დიდებული მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დროს ოკეანესგაღმელი იმპერიალისტები ომის გაჩაღებას ცდილობენ. ამას ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სამარცხვინო პროვოკაციული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის მიმართ. მაგრამ აგრესორთა შავ ზრახვებს შესრულება არ უწერია. ჩვენი ქვეყნის მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საკადრისი პასუხი გასცა აგრესორთა თავხედობას. ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეა, და ამ მშვიდობის სიმბოლოდ ცაში დაჰქრის საამაყო საბჭოთა კოსმოსური ხომალდი თანამგზავრი.

ი. გვერდწითელი,
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## ჩვენ ვამაყობთ

**სიღნაღი.** („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის მშრომელებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს საკდესის ცნობა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაშვების შესახებ. ყველგან, საწარმოდაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში იმართება საუბრები, რომლებზეც აგიტატორები მოუთხრობენ თანამგზავრი ხომალდის გაშვების შესახებ, რაც საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე გამარჯვებაა.

გუშინ დაბა წნორის მექანიკური ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელდახელო მიტინგის მონაწილეებს ქარხნის დირექტორმა ბ. დავითაშვილმა გააცნო მასალები დედამიწის თანამგზავრი ხომალდის ორბიტაზე მოძრაობის შესახებ.

სიტყვას იღებს ქარხნის ზეინკალი ა. ბეჟანიშვილი. მან თქვა:

— ყოველ საათსა და წუთს ახალ-ახალი სასიხარულო ამბავი მოაქვს. გული სიხარულით გვევსება, როცა ვისმენთ ჩვენი ქვეყნის მიღწევებს. თანამგზავრი ხომალდის გაშვება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საბჭოთა მეცნიერება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერებაა, მეცნიერების ასეთი უდიდესი გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ადამიანები თავდადებული შრომით სჭედენ უკეთეს მომავალს.

ქარხნის ხარატმა ვ. ტურიაშვილმა, ხაზის გამწყობმა ო. ბაკაშვილმა, ზეინკალმა ა. ჯანყარაშვილმა აღფრთოვანებით ილაპარაკეს ჩვენი სამშობლოს ძლიერებაზე და მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიას, რომლის ყოველდღიური ხელმძღვანელობით საბჭოთა მეცნიერება მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების დიად ამოცანას ემსახურება.

თანამგზავრი ხომალდის გაშვების ცნობა კოლმეურნეებმა საკოლმეურნეო მინდვრებზე შეიტყეს. მათ ინტერესით მოისმინეს აგიტატორთა საუბრები. სოფელ ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. კოკოლიშვილმა, გამოხატა რა ყველა კოლმეურნის გულისთქმა, განაცხადა:

— კოლმეურნეები უდიდესი გულისწყრომით შევხვდით ამერიკის სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავის შემოჭრას ჩვენი სამშობლოს სივრცეში. აგრესორებს გულს უკაწრავს წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა ქვეყანა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე აღწევს. არა, ისინი ვერ შეგვაშინებენ, არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა ხალხის წინსვლა კომუნიზმისაკენ. სამამულო მეცნიერების ტრიუმფალური მიღწევა — კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის გაშვება, რომლის მიზანია შევისწავლოთ კოსმოსი ადამიანთა საკეთილდღეოდ, ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა მეცნიერების უპირატესობას ყველა სხვა ქვეყნის მეცნიერებათა წინაშე.

ჩვენ ვამაყობთ სამამულო მეცნიერებით.

## მეცნიერული აზრის ტრიუმფი

საოცარი სისწრაფით ვითარდება და წინ მიდის საბჭოთა მეცნიერება და საინჟინრო ხელოვნება. რაკეტული წარმოების დარგში მან შორს ჩამოიტოვა ყველა ქვეყნის მეცნიერება და ტექნიკა. ამის ნათელი დადასტურებაა კოსმოსში თანამგზავრი ხომალდის გაშვება.

მათემატიკურ და ფიზიკურ მეცნიერებათა არნახული განვითარების საფუძველზე ადამიანებმა დიდი მიღწევები მოიპოვეს დღემდე მიუწვდომელი კოსმოსის ათვისების საქმეში. თანამგზავრი ხომალდი აღჭურვილია რთული აპარატურით და მოწყობილობით, რაც უზრუნველყოფს ადამიანის უშიშარ ფრენას კოსმოსში. შორს აღარ არის ის დრო, როცა ადამიანი გაფრინდება კოსმოსში და ღრმად გვწამს, რომ პირველი მათგანი საბჭოთა ადამიანი იქნება. მეცნიერული აზრის ეს ტრიუმფი მშვიდობის საქმეს ემსახურება.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკა, მთელი მსოფლიოს მილიონობით პატიოსან ადამიანთა მისწრაფება მშვიდობისადმი ბოლოს და ბოლოს ჩაშლის ოკეანესგაღმელ იმპერიალისტთა ბინძურ ზრახვებს და უზრუნველყოფს მსოფლიოს ხალხთა ბედნიერ და მშვიდობიან ცხოვრებას.

გ. შავლაყაძე,
თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.



მთელი პროგრესული კაცობრიობა აღტაცებით შეხვდა საბჭოთა თანამგზავრი-ხომალდის გაშვებას. ამ სურათებზე ასახულია დღევანდელი და ახლო მომავლის სინამდვილე: 1. კოსმოსში აიჭრა თანამგზავრი-ხომალდი, 2. მეცნიერები თვალყურს ადევნებენ ხომალდის ფრენას, 3. მალე დადგება დრო და მთვარეს ეწვევა ადამიანი კოსმოსური ხომალდით.

ნახ. ი. კალაძისა.

# თვალის ახვევის, სიყალბის გზით...

**პარტიის** რაიკომის პლენუმის მოწვევამდე ჯავის რაიონის კოლმეურნეობებში შექმნილი მდგომარეობა, მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები დეტალურად იქნა შესწავლილი. ამიტომ როცა რაიკომის პლენუმი მუშაობას შეუდგა, დამსწრეთა უმრავლესობამ კარგად იცოდა, თუ რაზე უნდა გამართულიყო აქ მსჯელობა.

მომხსენებელი — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. კოზაევი დაწვრილებით ჩერდება რაიონში მეურნეობის ცალკეული დარგების მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე. ასახელებს ფაქტებს, მოჰყავს მაჩვენებლები, რომლებიც ნათელყოფენ, რომ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მოდუნების შედეგად ადგილი აქვს სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომლებმაც გამოიწვიეს რაიონის მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებისა და დასახული გეგმების შეუსრულებლობა.

ჯავის რაიონი განთქმულია ალპური და სუბალპური საძოვრებითა და მდელოებით. აქ ძველთაგან მისდევენ მეცხოველეობას — მეურნეობის წამყვან დარგს მთის პირობებში.

მაგრამ პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონში ეს დარგი ჯეროვნად ვერ ვითარდება. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა დაასახელეს ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ კოლმეურნეობებში მეცხოველეობა ცალმხრივად ვითარდება, ამასთან წამყვანი ადგილი ეკუთვნის არა საზოგადოებრივ მეურნეობას, არამედ ერთპიროვნულს.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ნამდვილი ორგანიზატორული მუშაობის გაშლის ნაცვლად მიმართეს ადმინისტრირებას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში თვალისახვევასა და სიყალბეს. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის რაიონის 48 კოლმეურნეობიდან 26-ში აღმოჩნდა პირუტყვის სულადობის ხელოვნური გაზრდა 681 სულით. სოფელ ვანელის კოლმეურნეობაში პირუტყვის სულადობას 10 პროცენტით მეტს უჩვენებდნენ, ვიდრე სინამდვილეში ჰყავდათ, ზამთარეთში — 14, გუფთაში — 17,6, ჯომაღში — 23 პროცენტით მეტს.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები დაადგნენ აგრეთვე თვალისახვევის გზას წარმოებული პროდუქციის, კერძოდ, წველადობის ჩვენების საქმეშიც. შარშან რაიონის 10 კოლმეურნეობამ 46 ტონით იმაზე მეტი რძე უჩვენა, ვიდრე ფაქტიურად იყო მოწველილი. სტირფაზის კოლმეურნეობაში 1959 წლის პირველი აგვისტოსათვის 28,1 ტონა რძე იქნა მიღებული, ფორმა № 24-ში კი სტირფაზელებმა 38,6 ტონა უჩვენეს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხელოვნურად ზრდიდნენ ხბოების გამოკვებაზე დახარჯული რძის რაოდენობას, რათა ამით მიეღწიათ წველადობის საერთო მაჩვენებლის ზრდისათვის.

მეტად ნელი ტემპით იზრდება ხორცის წარმოება. კოლმეურნეობებში პირუტყვის გაზრდა და სუქება ბევრად ჩამორჩება ხორცის რეალიზაციის დონეს, რაც სულადობის შემცირების დიდ საფრთხეს ქმნის. ჯავაში ვერ სრულდება ხორცის წარმოების დავალება მიწის სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე. ამ მხრივ დავალება რაიონმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მხოლოდ 13 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩა აგრეთვე რძის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე.

პარტიის ჯავის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა არათუ არ მიიღეს საჭირო ზომები გასულ წელს ხორცისა და რძის წარმოებაში გამჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად, არამედ ეს ნაკლოვანებები კიდევ უფრო გაღრმავდა. მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, თვითეულ საფურაკე ძროხაზე 68 კილოგრამით ნაკლები რძეა მიღებული.

ვერ სრულდება სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დარგში ნაკისრი ვალდებულებები. მდგომარეობის „გამოსწორების“ მიზნით ჯაველებმა აქაც ადმინისტრირებას და სიყალბეს მიმართეს. მათ აიძულეს სოფლის ინტელიგენცია, კერძოდ, მასწავლებლები, ისინი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ მეურნეობასთან, ბაზარზე ეყიდნათ და სახელმწიფოსათვის მიეყიდნათ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ღორები. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჯავის საშუალო სკოლამ ასეთი წესით სახელმწიფოს მიჰყიდა იმაზე ორჯერ მეტი ხორცი, ვიდრე ჯავის კოლმეურნეობამ. მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა. მაშინ ჯავაში სიყალბეს მიმართეს. მიმდინარე წლის იანვარში ცხოველდამზადების ჯავის მიმღებმა პუნქტმა გამოწერა 100 სული პირუტყვის (30 ტონა ცოცხალი წონით) მიღების ყალბი დოკუმენტი, თითქოს ეს პირუტყვი კოლმეურნეებისაგან იყო შესყიდული. შემდეგ კი არარსებული ხორცი „გადასცა“ ქვაისის ტყვია-თუთიის საწარმოს სურსათმომარაგებას კუთვნილი განრიგის მიხედვით. ფაქტიურად სურსათმომარაგებამ არა ხორცი, არამედ მისი ღირებულება 180 ათასი მანეთი მიიღო. ამრიგად, ჯაველებმა ადვილად მოახერხეს ხორცის ეს რაოდენობა ჩაბარებათა გეგმების, ხოლო ქვაისელებს საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში ეჩვენებინათ.

პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადო ღონისძიებები ვერ განახორციელეს საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვისა და განიავების ფაქტების აღსაკვეთად. ხშირია შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებში სხვადასხვა მოტივებითა და საბაბით ნიავდება პირუტყვი, საკოლმეურნეო თანხები, ამასთან ამ მიზეზებსა და საბაბებს საერთო არაფერი აქვთ რა კოლმეურნეობათა ინტერესებთან. მაგალითად, შარშან ვანელის კოლმეურნეობაში ორი ძროხა დაკლეს ფერმის ირგვლივ მესერის გაკეთების დროს გამართული ნადიმისათვის. კიმასის კოლმეურნეობაში სამი მოზვერი დაკლეს „ზიაზე“ (მამითადზე). ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს სხვა კოლმეურნეობებშიც ვხვდებით. საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-განიავებას ხელს უწყობს საანგარიშო დარგის, აღრიცხვის უგულებელყოფა.

პლენუმის მონაწილენი აღრიცხვაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამო სწორად გამოთქვამდნენ საყვედურს სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მიმართ (უფროსი ამხ. ს. დარსაველიძე), რომელიც ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს და ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს.

პარტიის ჯავის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. მოკამათეებს მოჰყავდათ ფაქტები, რომლებიც მეტყველებდნენ რაიკომის ბიუროს წევრების უპრინციპობაზე, ბიუროს როლის შეუფასებლობაზე. ჯავის რაიონში ცუდად დგას პარტიული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანი — კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა. ამის დასადასტურებლად მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები. ზამთარეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რაიკომის მიერ რეკომენდებულ იქნა ლ. ბაგაევი, რომელიც წინათ საერთო კრების მიერ გარიცხული იყო ამ კოლმეურნეობიდან უდისციპლინობისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებისათვის. სინაგურის არტელის წევრთა საერთო კრებას კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევად ურჩიეს ზ. ბაზაევი, რომელიც წინათ მამხილებული იყო მრავალ დანაშაულში. შემდეგ მოხდა ის, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ ზ. ბაზაევი ბევრი დანაშაულისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხა.

პლენუმზე სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსმა ი. კოჩიევმა, ჯავის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ბეტეევმა, რაიონის პროკურორმა ზ. ქსაგოლიანმა აღნიშნეს, რომ რაიკომის ბიურომ სათანადო დასკვნები ვერ გააკეთა იმ კრიტიკიდან, რაც რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის ირგვლივ გამოთქვეს ოლქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და რაც კვლავ აღინიშნა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე.

რაიკომის პლენუმმა ეკაცრად გააკრიტიკა რაიკომის პირველი მდივანი პ. ხაროევი და რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ს. ჯიოევი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს საქმეს, იჩენდნენ უხერხემლობასა და უპასუხისმგებლობას, ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობის მოწყობის ნაცვლად მიმართავდნენ უხეშ ადმინისტრირებას, არ ერიდებოდნენ სიყალბესა და თვალის ახვევას. მათ დაკარგეს ხელმძღვანელის თვისებები და გადაგვარდნენ.

პლენუმმა, რომელმაც პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დასახა ღონისძიებანი და აირჩია რაიონული კომიტეტის ბიუროს ახალი შემადგენლობა.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა აქტივის კრება

გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის სამეურნეო-პროფკავშირული აქტივის კრება, რომელმაც შეაჯამა გასული სამეურნეო წლის შედეგები და განიხილა 1960 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების ღონისძიებანი.

გასული წელი, თქვა თავის მოხსენებაში ამიერკავკასიის გზის უფროსმა ამხ. ღ. მამაცაშვილმა, აღინიშნა შრომის მოწინავე მეთოდების, ახალი ტექნიკის ფართო გამოყენებით. გადიდდა დიდტვირთიანი მარშრუტების რაოდენობა, რომლებიც გადიდებული სიჩქარით გადაჰყავთ, შემცირდა მოძრავი შემადგენლობის მოცდენა, წარმატებით შესრულდა დიდმნიშვნელოვანი ტვირთების გადაზიდვის დავალებანი.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შეიმჩნევა მუშაობაში. საქმე ეხება მოძრაობის უსაფრთხოებას. ყველაზე უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა გზის თბილისის განყოფილებაში, სადაც ურიგდებოდნენ მოძრავი შემადგენლობის ექსპლოატაციის წესების უხეშ დარღვევას, გახშირდა წუნისა და ავარიის შემთხვევები.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მაგისტრალის წარმოების მუშაკებმა და მეთაურებმა. მათ მოჰყავდათ მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითები, აღნიშნავდნენ ხარვეზებსაც, ლაპარაკობდნენ მათი ლიკვიდაციის გზებზეც.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ქადაგიძემ. (საქდესი).

კომუნისტი
მე-3 გვერდი, ხუთშაბათი,
19 მაისი, 1960 წ.



დღეს ჩვენი ნორჩი თაობის დიდი ზეიმია—ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე. ეს დღე ნორჩი ლენინელების ორგანიზაციებში ოცდამეთხუთმეტეჯერ საზეიმოდ აღინიშნება. მას სიხარულით ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, სკოლებსა და ინტერნატებში, საბავშვო დაწესებულებებში.

მოზეიმე ბავშვთა შორის არიან ამ სურათზე გამოხატულნი: თბილისის გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის მეოთხეკლასელები, პიონერები: ზურაბ წიკლაური და ნინო ხარაძე.

ფოტო ო. არობელიძისა.

## შემთხვევა ლალიძგაზე

**ტყვარჩელი**, 18 მაისი. (საქინფორმი). ალექსი გრაჟდანკინს, ტყვის შოფერს ფეხბურთელთა გუნდის „მეშახტის“ ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს კარგად იცნობენ და პატივს სცემენ ტყვარჩელელი მაღაროელები. ამ დღეებში, როცა იგი საღამოს სტადიონიდან ბრუნდებოდა ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე მატჩის შემდეგ, შორიდან დაინახა, რომ ძველი კიდული ხიდიდან მოდიდებულ ლალიძგაში გადავარდა მამაკაცი და ქალი, რომლებიც ენერგეტიკოსების მუშათა დაბაში მიდიოდნენ. მთის მდინარემ ისინი წაიღო.

მამაკაცმა ძალა მოიკრიბა და დიდი სიძნელით გავიდა ნაპირზე. ქალი, რომელიც მაშველს ეძახდა, სწრაფად მიჰქონდა მდინარეს.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ალექსი გრაჟდანკინი. იგი სასწრაფოდ გადაეშვა წყალში ვალენტინა საღოვსკაიას დასახმარებლად. ზედ ჭორომებთან მისწვდა ქალს, რომელიც მძვინვარე ტალღებს მიჰქონდა და დახრჩობას გადაარჩინა.

## პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ ფეხბურთში

დღეს მოსკოვში გაიმართება პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის. დედაქალაქის სპორტის მოყვარულებთან ერთად ამ უძლიერესი კოლექტივების ბრძოლას შეუნელებელი ინტერესით მოელიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, პოლონეთში, ესპანეთში. ეს მატჩი სსრ კავშირის ნაკრებისათვის წარმოადგენს გენერალურ რეპეტიციას ძალთა შემოწმებას ევროპის თასზე ესპანელ ფეხბურთელებთან შეხვედრის წინ.

ამ დღეებში პოლონელი ფეხბურთელები მოსკოვს იწვევნენ. აქ მათ მოაწყეს წვრთნა, დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, სპორტული ბაზები.

პოლონეთის ეროვნული ნაკრები ევროპაში ერთ-ერთ ძლიერ კოლექტივად ითვლება. მას ახასიათებს ტემპიანი ბრძოლა, მძაფრი და კომბინაციური თამაში, ძლიერი და ზუსტი დარტყმები.

მოსკოვში ჩამოსვლის წინ პოლონელებმა გლაზგოში გამართეს საერთაშორისო ამხანაგური მატჩი შოტლანდიის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. პოლონეთის ნაკრები გუნდის მწვრთნელთა და ხელმძღვანელთა აზრით უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ეს შეჯიბრება ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გუნდის შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ნახევარმცველები სტრუკალსკი და ზენტარა რომლებიც, დაცვის ფუნქციებს შესანიშნავად უხამებენ იერიშებს და ხშირად გატანილი ბურთების ავტორებიც არიან. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან ოლიმპიურ შერჩევით მატჩში, რომელიც პოლონელებმა მოიგეს 3:1, ნახევარმცველმა ზენტარამ ორი ბურთი გაიტანა.

დღეს ორივე გუნდი მოედანზე გამოვა თავისი საუკეთესო შემადგენლობით. სსრ კავშირის ნაკრებში იქნებიან: იაშინი, კესარევი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი და მესხი.

## მატჩები რიგასა და ტალინში

**რიგა**. 18 მაისი. [illegible] მატჩი ფეხბურთში [illegible] პირველობაზე [illegible] ლენინგრადის „ზენიტისა“ და რიგის „დაუგავა-რიგა-ს“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 1:0 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

**ტალინი**. 18 მაისი. დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა პირველობის გათამაშების მორიგი ტურის მატჩი ფეხბურთში ჩაატარა ტალინში ადგილობრივი „კალევის“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა დონის როსტოვის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

## რესპუბლიკური ჩემპიონატი

გასულ კვირადღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საქართველოს 1960 წლის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩები ფეხბურთში. შეხვედრათა შედეგები ასეთია:

### პირველი ქვეჯგუფი

„ქიმიკოსი“ (რუსთავი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:4, არმიის სასპორტო კლუბის გუნდი (თბილისი) — „კოლხიდა“ (ხობი) 3:0, „მუქურა“ (ქობულეთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „დინამო“ (ქუთაისი) — „კოლმეურნე“ (ჩოხატაური) 2:1, „კოლმეურნე“ (თელავი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:6.

ექვსი ტურის შემდეგ პირველ ქვეჯგუფში ლიდერია თბილისის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი.

### მეორე ქვეჯგუფი

„სინათლე“ (თბილისი) — „განთიადი“ (ფოთი) 0:0, „სპარტაკი“ (სტალინირი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:3, „დილა“ (გორი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:2, „ოდიში“ (ზუგდიდი) — „განთიადი“ (ბათუმი) 1:1, „დინამო“ (სოხუმი) — „სიხარული“ (მახარაძე) 2:0, „ისანი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 4:0.

მეორე ქვეჯგუფში წარმატებით გამოდის და ლიდერია ქუთაისის „იმერეთი“.

## ჭადრაკი

### ქალთა საერთაშორისო ტურნირი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში შედგა ქალთა პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეორე ტური.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ლარისა ვოლპერტმა მაღალი ოსტატობით ჩაატარა პარტია ე. კაკაბაძის წინააღმდეგ. დასაწყისში მან პაიკი შეწირა მეტოქეს და იერიში მიიღო. პარტია დამთავრდა ლ. ვოლპერტის გამარჯვებით.

ამ დღეს ნ. გაფრინდაშვილი თამაშობდა მ. ტოგონიძის წინააღმდეგ. მან დებიუტიდანვე აქტიური პოზიცია მიიღო, რომელიც ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა.

ედიტ ბილეკნემ (უნგრეთი) ძლიერად ჩაატარა პარტია ა. ჩაიკოვსკაიას წინააღმდეგ და აიძულა მეტოქე დანებებულიყო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკემ საერთაშორისო ოსტატმა ედიტ კელერ-გერმანმა დაამარცხა ტერეზა შტადლერი (იუგოსლავია). ჰენრიკა კონარკოვსკაია (პოლონეთი) და რუჟენა სუხას (ჩეხოსლოვაკია) პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

საერთაშორისო ოსტატის კირა ზვორიკინასა (მინსკი) და ელიზაბეტ პოლიხრონიადეს (რუმინეთი) პარტია გადაიდო.

ორი ტურის შემდეგ წინ არის საერთაშორისო ოსტატი ლარისა ვოლპერტი, რომელსაც 2 ქულა აქვს.

დღეს გაიმართება მესამე ტური.

### ოსტატის წოდების მოსაპოვებლად

გრძელდება ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირი. გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მეხუთე ტური.

წარმატებით იბრძვის თბილისელი მოჭადრაკე ოსტატობის კანდიდატი დ. ჯანოევი. გუშინ მან ძლიერად ჩაატარა პარტია ოსტატ გ. ბასტრიკოვის (სვერდლოვსკი) წინააღმდეგ და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ოსტატ ე. სტოლიარისა (ლენინგრადი) და ოსტატობის კანდიდატ ა. არუთინოვის (ბაქო) შეხვედრა დამთავრდა ე. სტოლიარის გამარჯვებით.

ოსტატ ა. ბუსლაევისა (თბილისი) და ოსტატობის კანდიდატ ლ. ლისტენგარტენის პარტიაში მოწინააღმდეგეებმა მშვიდი ბრძოლა აირჩიეს და მალე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ოსტატ ლ. არონსონისა (ლენინგრადი) და ოსტატობის კანდიდატ შ. გიტერმანის (კიშინიოვი) პარტია. ორი პარტია გადაიდო.

## მატჩი კიშინიოვში

გუშინ კიშინიოვში თბილისის დინამოელები შეხვდნენ ადგილობრივ „მოლდოვას“. ეს იყო ფეხბურთელთა ამ კოლექტივების მეცხრე მატჩი. გასული 8 თამაშიდან კიშინიოველებმა მოიგეს 3, თბილისელებმა — 2, ხოლო დანარჩენი მატჩები ფრედ დამთავრდა.

ამჯერად დინამოელთა რიგებში არ იყო ორი წამყვანი მოთამაშე — მესხი და კალოევი. როგორც ცნობილია ისინი შეყვანილი არიან სსრ კავშირის ნაკრებში და ემზადებიან პოლონეთისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებთან შეხვედრისათვის.

გუშინდელ მატჩში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: მეკარე — კოტრიკაძე, მცველები — ჩოხელი, თორაძე, ხოშოლავა, ნახევარმცველები — ზეინკლიშვილი, სიჭინავა, თავდამსხმელები — მელაშვილი, ბარქაია, იამანიძე, ლოლობერიძე, გრამატიკოპულო.

ბრძოლა მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. თამაში მძაფრი და შეუპოვარი იყო. როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში თბილისელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობები, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

## რუსთაველის ნაკვალევზე

# დიდი პოეტის საფლავის გარშემო

შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე ძალიან ცოტა რამ ვიცით. ამიტომაც სავსებით ბუნებრივად დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს ყოველი ახალი ცნობა ჩვენი სასიქადულო პოეტის შესახებ.

ფრიად საყურადღებოა გრიგოლ პლოტკინის მიერ გამოქვეყნებული მასალები. უკრაინელი მწერალი მოგვითხრობს, როგორც ჩანს, იერუსალიმში გავრცელებულ ლეგენდას, რომლის თანახმად რუსთაველს დაუტოვებია კარისკაცობა, შემდგარა ბერად, „ფეხშიშველი“ მისულა იერუსალიმში, დამკვიდრებულა ქართველთა ჯვარის მონასტერში, „სხვა ბერების დახმარებით“ მონასტრის შიდა კედლები მოუხატავს საუცხოო ფრესკებით, იქვე, იერუსალიმშივე გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ მონასტერში, „მარჯვენა სვეტის ძირში, საკურთხევლის ახლოს“.

გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ ტურისტებისათვის „რუსთაველის საფლავი“ უჩვენებია ჯვარის მონასტრის აწინდელ წინამძღვარს, ბერძენ ბერ სოფოკლეს. საბჭოთა ტურისტებს ყვავილებით მოურთავთ ქართველი პოეტის საფლავი. ქართული კულტურის ყველა გულშემატკივარს აღელვებს გრ. პლოტკინის გრძნობიერი მონათხრობი. გულწრფელი მადლობის ღირსია იგი.

კითხვა იბადება, რამდენად სარწმუნოა რუსთაველის საფლავის არსებობა იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში. ქართული ზეპირი და ნაწილობრივ წერილობითი ტრადიცია რუსთაველის სახელს დაჟინებით უკავშირებს იერუსალიმს, კერძოდ ქართველთა იქაურ ძველ მონასტერს, ჯვარის მონასტერს. ზოგი ხალხური თქმულებით, რუსთაველმა მიატოვა სამშობლო, ბერად აღიკვეცა, იერუსალიმის მონასტერში შეაფარა თავი. უფრო მნიშვნელოვანია მეორე გარემოება. ჯვარის მონასტრის ე. წ. სვინაქსარის წიგნში მოხსენიებულია „ალაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი“. ეს მონასტერი 1757-1758 წ. წ. ინახულა (და მისი სიძველეები აღწერა) ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ და მწერალმა ტიმოთე გაბაშვილმა.

იგი გვიამბობს: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“ (მიმოსვლა, 1956, გვ. 80). ტიმოთეს აღუნუსხავს მონასტრის ფრესკები, იგი მეორეჯერაც ასახელებს რუსთაველის პორტრეტს („მუნ ხატია შოთა რუსთაველი, მეჭურჭლეთუხუცესი“, 82).

როგორც ვიცით, ტიმოთე გაბაშვილი იყო რუსთაველის მოძულე და დიდ ქართველ პოეტს უწოდებდა „ლექსთა ბოროტთა მთქმელს“. მიუხედავად ამისა, ტიმოთე აიგივებს ჯვარის მონასტრის მოამაგე მეჭურჭლეთუხუცეს შოთას და პოეტ შოთა რუსთაველს. ეტყობა, ასეთი შეხედულება განმტკიცებული ყოფილა ჯვარის მონასტერში. ჯვარის მონასტრის სვეტზე, საპატიო ადგილას, საკურთხევლის მახლობლად, მართლაც ყოფილა დახატული შოთა რუსთაველის სურათი. რუსთაველი იქ წარმოდგენილია მოხუცად, დაჩოქილი, ქართველი დიდებული ერისკაცის ძვირფასი ტანსაცმლით. რუსთაველის სურათის მარჯვნივ და მარცხნივ გამოხატული არიან განთქმული საეკლესიო ავტორიტეტები — მაქსიმე აღმსარებელი და იოვანე დამასკელი. სწორედ იმათ წინაშეა მუხლმოყრილი ქართველი დიდებული. სურათს წარწერილი აქვს: „ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან. ამინ“ (ერთ მხარეს), „შოთა რუსთაველი“ (მეორე მხარეს).

ჯვარის მონასტრის კედლებზე გამოხატული არიან აგრეთვე მონასტრის მომხატველი სხვა პირებიც (ვინმე არსენი, დრანდის მთავარეპისკოპოსი გაბრიელი და სხვ.). მაშასადამე, მოყვანილი წერით შოთა რუსთაველი მიჩნეულია ჯვარის მონასტრის შემკეთებელ და მომხატველ შოთა მეჭურჭლეთუხუცესად. 1845 წელს ეს მონასტერი მოინახულა და ჩვენთვის საინტერესო ფრესკები (სურათები) აღწერა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა. ნ. ჩუბინაშვილის ჩანახატებისა თუ ჩანახაზების მიხედვით პეტერბურგში დაუმზადებიათ რუსთაველის საკმაოდ მდარე პორტრეტი (ჩართულია ჩუბინაშვილისეულ ხელნაწერ კრებულში, 1958 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“). 1883 წელს შოთას სურათი კალკით გადმოუღია პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს. ცაგარლის პირის საფუძველზე შეიქმნა თარხნიშვილისეული ქანდაკება შოთა რუსთაველისა (ამ ქანდაკების ფოტოპირს შენიშვნა აქვს: „გადმოღებული იერუსალიმის ჯვარის მონასტერში კედლის მხატვრობითგან“). 1902 წელს ჯვარის მონასტერს ეწვია აკადემიკოსი ნიკო მარი. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსთაველის სურათი მაშინ შელესილი ყოფილა.

ჯვარის მონასტრის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი განმაახლებელი თავის დროზე იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. მისი თაოსნობით მოუხატავთ მონასტრის კედლები XVII საუკუნის ორმოციან წლებში. იმდროინდელია შოთას სურათიც. ოდნავ საფუძვლიანია ელენე მეტრეველის მოსაზრება, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი თავის თავზე ვერ აიღებდა გაბედაობას მონასტრის კედლებზე გამოეხატა საერო მწერლის შოთა რუსთაველის პორტრეტი, თუ ამისათვის არ ჰქონდა „მტკიცე ჩვენებები“. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა ალბათ განაახლა, აღადგინა ან გააცხოველა რუსთაველის ძველი სურათი.

უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებით უფრო და უფრო დამარწმუნებელი ხდება შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთაველის ერთიდაიგივეობის ვარაუდი. ჯვარის მონასტერში განმტკიცებული ტრადიცია კი [illegible] უნდა გამხდა[illegible] ლეგენდების წყაროდ.

რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ შოთა რუსთაველი აღკვეცილიყო ბერად, დამკვიდრებულიყო ჯვარის მონასტერში და იქვე გარდაცვლილიყო. მაგრამ მონასტრის სვეტზე გამოხატული პირი ხომ ერისკაცია, ხოლო რუსთაველი თითქოს ბერად შედგა და ბერობაში გარდაიცვალა. თუ დავუშვებთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესი შოთა (ე. ი. პოეტი შოთა რუსთაველი) ბერად შედგა და ჯვარის მონასტერში დამკვიდრდა, მაშინ უფრო მოსალოდნელი იყო მისი გამოხატვა არა ერისკაცად, არამედ ბერად.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოხატული პირი იყოს ვითომც იქვე, იმავე სვეტის ძირას დამარხული, ბერად შემდგარი შოთა რუსთაველი. ამასთან სვეტის ძირას საეთოდ არა ჩანს საფლავის რაიმე ნიშანწყალი. ის გარემოება, რომ სვეტზე გამოხატულია რუსთაველი, არ ნიშნავს, თითქოს იგი იქვეა დასაფლავებული. მაინც ფრიად საგულისხმოა უკრაინელი მწერლის გრ. პლოტკინის მონათხრობი. ეს მონათხრობი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ გენიოსი ქართველი პოეტის სახელი საბუთიანად უკავშირდება ძველი ქართული კულტურის იმ შესანიშნავ კერას, რომელსაც ჯვარის მონასტერი ეწოდება.

სასიამოვნოა, რომ ქართული კულტურის ამ უკვე ჩაქრობილ კერაში დღესაც ცხოველი ყოფილა ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის ნათელი ხსოვნა. ჯვარის მონასტერმა შემოგვინახა ქართული კულტურის სხვა ბევრი გამოჩენილი მოღვაწის, მათ შორის გიორგი მერჩულეს სახელიც. ჯვარის მონასტერი უთუოდ ღირსია ჩვენი მხრივ საგანგებო ყურადღებისა.

პროფესორი **ალ. ბარამიძე**.

## საფრანგეთის პოლიციის ხელისუფალთა თვითნებობა

**პარიზი**, 18 მაისი. (საქინფორმი). საფრანგეთის პოლიციის ხელისუფლებმა აკრძალეს მშვიდობის მომხრეთა სამი მიტინგი, რომლებიც დღის საღამოს უნდა გამართულიყო პარიზის „მიუტიუალიტეს“ დარბაზში და დედაქალაქის ორ გარეუბანში.

სენის დეპარტამენტის მშვიდობის საბჭოს ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც „ენერგიულ პროტესტს აცხადებს სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების ამ ხელყოფის წინააღმდეგ“.

## აფრიკის ახალი სახელმწიფო

**ლონდონი**, 18 მაისი. (საქინფორმი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ფორტ-ლამიდან (ჩადის რესპუბლიკა) იუწყება, იქ გამოაცხადეს, რომ შეიქმნა აფრიკის ახალი სახელმწიფო — ეკვატორული კავშირი, რომელშიც შედიან კონგოს, ცენტრალური აფრიკისა და ჩადის რესპუბლიკები.

ეკვატორული კავშირი ეცდება დამოუკიდებლობა მოიპოვოს საფრანგეთის გაერთიანების ფარგლებში.

## სამეცნიერო ცენტრები

**რესპუბლიკური** მეცნიერებათა აკადემიების საბჭოს სესიამ ამ დღეებში მოსკოვში განიხილა საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვანი მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

როგორც მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალების მეცნიერული მოღვაწეობის კოორდინაციის საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, ახლა დადგა დრო, როცა ცოდნის მთელ რიგ დარგებში რესპუბლიკური აკადემიები ხდებიან მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრები. ასეთებია, მაგალითად, გამოკვლევა მიკროელემენტების დარგში, რასაც ასრულებს ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემია, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა შრომები ტვინის ბიოქიმიაში. საერთაშორისოდ ცნობილი გახდა ასტროფიზიკის დარგში აღმოჩენები, რომლებიც გააკეთა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიურაკანის ობსერვატორიამ. სამუშაოთა წამყვანი მიმართულებანი ყოველ რესპუბლიკურ აკადემიაში, როგორც სესიაზე აღნიშნავდნენ, საჭიროა კვლავაც გაძლიერდეს. თითოეული მეცნიერებათა აკადემია მოწოდებულია კოორდინაცია უყოს შესაბამის სამუშაოებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, გახდეს მეცნიერების მოცემულ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების სამჭედლო.

ამასთან ერთად აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა არა სწორად მიიჩნია ერთი და იმავე თემების დამუშავება მკვლევართა კოლექტივების მიერ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, მოუწოდა ასეთი პარალელიზმი შეცვალოს სხვა აქტუალური პრობლემების შეტანით, ლიკვიდაცია უყონ „თეთრ ადგილებს“ მეცნიერულ გეგმებში.

სესიაზე განიხილეს მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალების გამოკვლევათა და მეცნიერულ სამუშაოთა გეგმების შედეგები უმნიშვნელოვანეს პრობლემებში. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ა. ამბარცუმიანმა, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კ. ი. სატპაევმა, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ჰ. მ. აბდულაევმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის დირექტორმა ა. ა. დოროდნიცინმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიისა და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ა. პ. ვინოგრადოვმა და სხვებმა.

სესიამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1959 წელს რესპუბლიკურმა მეცნიერებათა აკადემიებმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებმა ბევრ უმნიშვნელოვანეს პრობლემაში გააძლიერეს კვლევა და მიღებულია ძვირფასი მეცნიერული შედეგები, განხორციელებულია მუშაობა მეცნიერული კადრების მომზადებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ექსპერიმენტული ბაზის განმტკიცებისათვის. კერძოდ, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მეცნიერული შრომები შეასრულეს უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიების გამოთვლითმა ცენტრებმა.

დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საკვლევი რეაქტორების მშენებლობამ და საექსპლოატაციოდ გადაცემამ უკრაინის, საქართველოს, უზბეკეთის, ბელორუსიის, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიებში და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში შესაძლებლობა შექმნეს დაარსებულიყო ახალი სამეცნიერო ცენტრები მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში კვლევის ფართო წრის განსახორციელებლად.

სესიაზე მეცნიერების განვითარების შემდგომი გეგმების განხილვამ ცხადყო პერსპექტივების გრანდიოზულობა, რომლებიც იშლება მრავალეროვანი საბჭოთა მეცნიერების წინაშე.



მდინარე ბუშის ხეობაში.
ფოტო ო. ხავთასისა.

## თ. ა. აბაშიძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ ასლანის ასული აბაშიძე.

თამარ აბაშიძე დაიბადა 1892 წელს, ზესტაფონში. დაამთავრა თუ არა საშუალო სასწავლებელი, მუშაობა დაიწყო ჭიათურის თეატრში. ახალგაზრდა მსახიობი ისე კარგად ასრულებდა როლებს, რომ დიდმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ თავის დასში მიიწვია.

1916 წელს თამარ აბაშიძე ოჯახური პირობების გამო დონის როსტოვში გადასახლდა და დრამატულ სტუდიაში დაიწყო მუშაობა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი დიდი ენთუზიაზმით გამოდიოდა წითელარმიელთათვის გამართულ სპექტაკლებზე.

1920 წელს თ. აბაშიძე კვლავ ჭიათურის თეატრს დაუბრუნდა. შემდეგ მუშაობდა ქუთაისში, მახარაძეში, გორში, თბილისში — რუსთაველის სახელობის თეატრში.

თამარ აბაშიძე, როგორც სცენის ოსტატი, შესანიშნავად აგრძელებდა მაკო საფაროვ-აბაშიძის, ნატო გაბუნიას, ნუცა ჩხეიძისა და ტასო აბაშიძის შემოქმედებით ტრადიციებს.

გარდა თეატრისა, თამარ აბაშიძე მუშაობდა ქართულ კინოში, სადაც შესრულებული აქვს რამდენიმე პასუხსაგები როლი.

ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით თამარ აბაშიძეს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, იგი დაჯილდოებული იყო მედლებით, მიღებული ჰქონდა რამდენიმე საპატიო სიგელი.

თამარ აბაშიძე იყო გულისხმიერი, ყურადღებიანი ადამიანი, მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ქართული თეატრის მაყურებლისა და მისი ამხანაგ-მეგობრების ხსოვნაში.

**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო,**
**საქართველოს თეატრალური საზოგადოება.**

## ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით გარდაქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტად.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

## მეცნიერება და ტექნიკა

# პოლიომიელიტი დამარცხებული იქნება

**კონფერენცია**, რომელიც ეძღვნება მედიცინაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას — პოლიომიელიტის (ბავშვის დამბლა — **რედ.**) პრობლემას, უთუოდ დაგვაახლოვებს ჩვენი საერთო მიზნის მიღწევას — ამ ავადმყოფობის აღმოფხვრას, თქვა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ბლოხინმა, როცა 17 მაისს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გახსნა საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიომიელიტის წინააღმდეგ ცოცხალი ვაქცინის გამოყენების შესახებ.

სიმპოზიუმი, რომელშიც 19 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ, ემთხვევა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პოლიომიელიტის შესწავლის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიას.

პირველი მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა ა. სებინმა (ამერიკის შეერთებული შტატები) — პოლიომიელიტის წინააღმდეგ ცოცხალი ვაქცინის შემქმნელმა, რომლის გამოყენებამ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მშვენიერი შედეგები მოგვცა.

ადამიანთა მაქსიმალური რიცხვის ვაქცინაცია რაც შეიძლება მოკლე ვადებში პოლიომიელიტის სრული აღმოფხვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, ხაზგასმით აღნიშნა დოქტორმა ა. სებინმა. კვლევა, რაც ამერიკელმა მეცნიერებმა განახორციელეს ტოლუკში (მექსიკა), ცხადყო, რომ ცოცხალი ვაქცინის ორი მიღებით შეიძლება მოკლე ვადაში (რამდენიმე კვირით დაწყებული რამდენიმე თვემდე) გამოვიწვიოთ იმუნიტეტი, რომლის შესაქმნელად ბუნებას ესაჭიროება დაახლოებით ოთხი წელი. ამასთან ბუნებრივი იმუნიტეტის შეძენა მეტად ძვირად ჯდება: მაგალითად, ტოლუკში ოთხ წელიწადს იყო დამბლური პოლიომიელიტის 56 შემთხვევა.

მონაცემები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ვირუსოლოგებმა დააგროვეს, აღნიშნა ამერიკელმა მეცნიერმა, საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ცოცხალი ვაქცინა არის საშუალება, რომლის დახმარებით შეგვიძლია შევეცადოთ მსოფლიოს დიდი რაიონები გავათავისუფლოთ არა მარტო პოლიომიელიტისაგან, არამედ აგრეთვე მისი ვირუსებისაგან.

დოქტორ სებინის პრეპარატის გამოყენება ქმნის პოლიომიელიტის სრული აღმოფხვრის პირობებს, თქვა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა მ. ჩუმაკოვმა, რომელმაც გააკეთა მოხსენება, რომელშიც განზოგადებულია მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა პოლიომიელიტის ინსტიტუტში.

მომხსენებელმა ილაპარაკა ცოცხალი ვაქცინის გამოყენების დიდ გაქანებაზე ჩვენს ქვეყანაში. 1959 წლის დამლევის მონაცემებით, პოლიოვირუსული ვაქცინით აცრილთა რიცხვმა 15 მილიონს გადააჭარბა. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით წელს გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის ორიდან 20 წლამდე ცოცხალი ვაქცინით იმუნიზაცია.

მ. ჩუმაკოვმა აღნიშნა აგრეთვე ცოცხალი ვაქცინიანი კამფეტის გამოყენების უპირატესობა, რომლის დამზადების ტექნოლოგია საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს. კამფეტის ასეთ შეფუთვაში ვაქცინა დაახლოებით სამ თვეს ინახება.

სიმპოზიუმის პირველ დღეს გამოსულ პოლონეთის, უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რესპუბლიკის მეცნიერებს მოჰყავდათ ცნობები ცოცხალი პოლიოვირუსული ვაქცინით აცრის შედეგების შესახებ. თუმცა საკითხი მისი შეყვანის შემდეგ იმუნიტეტის ხანგრძლივობის შესახებ სავსებით გამორკვეული არ არის, მაგრამ ვაქცინის მაღალი იმუნოლოგიური აქტივობა მრავალგზის დადასტურდა. მაგალითად, ესტონეთსა და ლატვიაში, სადაც მასობრივი ვაქცინაცია 1959 წლის 1 ივნისამდე დამთავრდა დაავადება ერთეულ შემთხვევებამდე შემცირდა.

ცოცხალი ვაქცინის იმუნიზაციის პრობლემების ყველაზე დიდმნიშვნელოვან და ყველაზე ნაკლებ შემუშავებულ პრობლემებად მომხსენებლებს მიაჩნიათ საკითხი, თუ რა უშლის ხელს იმუნიზატორული ეფექტის მიღწევის სისრულეს, და საკითხი იმუნიზაციის სხვადასხვა სქემის დროს იმუნიტეტის ხანგრძლივობის შესახებ.

სიმპოზიუმის მუშაობა 20 მაისამდე გასტანს. (საქინფორმი).

## 19 მაისი

**თეატრები:** ოპერისა და ბალეტის — ოტელო (მე-9 აბონ. მე-10 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩემი ყვავილეთი, **გრიბოედოვის სახელობის** — ჰიქა წყალი, **სანკულტურის** — ჯავშნიანი გული.

**კინოები:** **რუსთაველის სახელობის** — განქორწინების საქმე, **ამირანი**, (საზამთრო) — ვერაგობა და სიყვარული, **ოქტომბერი**, **ფილარმონიის ბაღი**, **თბილისი**, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი**, **კიროვის სახელობის პარკი** — ყვირილით ქუჩიდან, **ისანი** (საზამთრო) — ვარსკვლავები, **სპარტაკი**, **კომუნარების ბაღი** — სახიფათო ზონა, **კომკავშირელი**, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — მურისძიება, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი)—უკან არ მოიხედო, შვილო, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — პრემიერა გადადებულია. **საქართველო** (წითელი დარბაზი) — აბეზარა, **საქართველო** (საზაფხულო) — ქალიშვილი სურით, **კოლხიდა** (საზაფხულო) — კაბირიის ღამეები, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — უსასრულო გზა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — გამოძახილი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — დიდი კარუზო, **კოლმეურნე**, **ყაზბეგი**, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — საზღვარი ორიოდე ნაბიჯზეა, **დიდუბე** (საზამთრო), **300 არაგველის ბაღი**, **თანამგზავრი** — საქონელი კატალონიისათვის, **დიდუბე** (საზაფხულო) — მისტერ იქსი, **ვაკის პარკი** — პარიზის გარეუბანში, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — რაღაც უნდა დაჯდეს.

**ტელევიზია:** 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პიონერთა დღესასწაული“, 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — გადაცემა — „ჯანმრთელობის სადარაჯოზე“. 19.55 — კინონარკვევი, 20.15 — უკანასკნელი ცნობები, 20.25 — გადაცემა ციკლიდან „ქართული სცენის ოსტატები“. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ემანუილ აფხაიძე, 21.05 — მხატვრული ფილმი „შუაღამისას“.

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღებისა — 3-64-12.

უე 02437

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. ლენინის ქ. № 14.